# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 მაისი, 2010 წელი.

№92 (6458)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



# სიკვდილითაც გამორჩეული...

## პოეტი-აკადემიკოსის მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალების გამო

ამ თითქმის სამოცი წლის წინათ პირველი ლექსით („საბა“) გამოჩენისთანავე მუხრან მაჭავარიანი ყველასგან უმალ გამოირჩა როგორც არავისი მსგავსი პოეტი და მთელი სიცოცხლე ისე გამორჩეულად იცხოვრა და იღვაწა, სანამ 17 მაისს ასევე გამორჩეულად არ აღესრულებოდა თავისი უფროსი მეგობარი პოეტის – 85 წლის ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო საღამოზე ყველა დროის პოეტთა მეფის, დიდი რუსთაველის თეატრის სცენაზე.

ამქვეყნად შემთხვევით არცრა ხდება, ეს ღვთის ნიშანიაო, განაცხადა ზემო აჭარიდან საღამოზე სტუმრად ჩამოსულმა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა. ჭეშმარიტად! დიდი და ყველასაგან გამორჩეული სახალხო პოეტი სიკვდილითაც ღვთის ნიშნით გამორჩეულად გადავიდა უკვდავებაში.

მთაწმინდა კიდევ ერთ მაშვრალ ერისკაცს ჩაიხუტებს გულში.

ჩვენი რედაქცია უერთდება საერთო ეროვნულ მწუხარებას და მთელ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად დარწმუნებულია, რომ სიკვდილს ხელი არა აქვს პოეტის ჭეშმარიტად ქართულ კაჟმულ სიტყვასთან, რომელსაც სულით დაუცემელ საქართველოსთან ერთად მარადიული სიცოცხლე უწერია.

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**

*ქვემოთ სრულად ვაქვეყნებთ პოეტის სიტყვას, რომლის წარმოსათქმელადაც ავიდა იგი სცენაზე, მაგრამ ვაი რომ ბოლომდე ვერ დაასრულა. ქვემო ფოტოც (მიკროფონთან) პოეტის სიცოცხლის ბოლო წუთს გადაიღო ცნობილმა ჟურნალისტმა დემიკო ლოლაძემ.*

**პოეტის ბოლო სიტყვა**

# კვლავაც მრავალგზის!..

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი...
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი.

ასე მიმართა საქართველოს დედაქალაქს, ნახევარი საუკუნის წინათ, ჩვენმა დღევანდელმა იუბილარმა, რომელიც უკვე კარგა ხანია, ღირსეული პოეტი გახლავთ არა მარტო თბილისისა, არამედ მთლიანი საქართველოსი.

წინათაც და დღესაც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი პოეტი საქართველოთია დაავადებული:

– ღმერთო სამშობლო მიცოცხლე,
ძილშიაც ამას ვდუდუნებ! – წერდა ვაჟა.
– დავგადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი! – წერდა ტიციანი.
– სამშობლო არ დაგავიწყდეთ,
სამშობლო უმთავრესია! – წერდა გალაკტიონი.
– როცა გიჭირს შინ და გარეთ
და ქვეყანა ჩვენი გოდებს,
ღმერთმა ნუ ქნას, სადმე ქართველს
ქართველობა არ უნდოდეს! – წერს ფრიდონ ხალვაში.

არადა, არამცთუ სხვაგან, ამჟამად, თვით საქართველოში, სამწუხაროდ, არიან ქართველები, რომლებსაც მაინცადამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი ქართველობა! (ამის თქმა იყო და წაიქცა პოეტი. – რედ.)

მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ღმერთი თავისას მიუზღავს ყველას, და დღეს არა, – ხვალე, ამ ე. წ. ქართველთაგან, არც ერთ მათგანს არ ასცდება ბედი აკაკი წერეთლის ნათაგვარი ღამურასი!

იშვიათია პოეტი, რომელსაც სხვა პოეტის დანახვისა და მისი აღიარების უნარი შესწევს.

ფრიდონ ხალვაში სამაგალითოა ამ ხრივაც:

მიყვარს ნაავდრალი მთები, მთები ნისლებჩაჩალული,
კვნესით დახნულ-დანათესი, იარებით დაშარული,
როგორც გორგილაძის ლექსი – დიდქართული, აჭარული.

ჭეშმარიტად, უშურველობისა და კეთილშობილების ზენიტია ფრიდონ ხალვაშის ეს „გულიდან ხორცად გამონატანი“ სიტყვები.

უდავოდ, „დიდქართულია“ თვითონ ფრიდონის შემოქმედებაც.

ხალხმა ზეპირად იცის მისი მადლიანი ხელიდან გამოსული არაერთი სტრიქონი.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავამრთელო.

მთელ ქართულ პოეზიაში თითო-ოროლა თუა ესოდენ გულში ჩამწვდომი ლექსი.

ფრიდონი პროზაშიც ისევე წრფელი და ელვარეა, როგორც პოეზიაში:

მრავლისმეტყველია მისი რომანი „შეიძლება თუ არა, მუსლიმანი იყოს ქართველი?“

შესანიშნავია მისი მემორიალური ხასიათის წიგნი „ომრი“...

ჭეშმარიტ პოეტს, მხურვალე მამულიშვილს, დაუცხრომელ საზოგადო მოღვაწეს, ჩემს ძველ მეგობარს ფრიდონ ხალვაშს სულითა და გულით ვულოცავ დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებ კვლავაც მრავალგზის გაეხარებინოს ქართველი კაცის გული თავისი ლექსითა თუ პროზით.

15.05.010 თბილისი



პოეტის უკანასკნელი ფოტო. 2010 წლის 17 მაისი. რუსთაველის თეატრის სცენა.

იხ. 9 გვ.

**კონფერენცია**

# სათემო კავშირი „სტეფანწმინდა“ ლარსის წინააღმდეგ



**თითქმის ორი ათეული წელი გავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. ამ ხნის განმავლობაში რუსეთი ცდილობს არ დაკარგოს თავისი გავლენა საქართველოსა და საერთოდ, კავკასიაზე. სწორედ ამ ძალადობას შეეწირა მრავალი ქართველის სიცოცხლე და საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი.**

ბოლო წლებში რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული მოვლენების ფონზე 2009 წლის 5 მაისს საზეიმოდ გაიხსნა დარიალის ხეობაში მდებარე ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტი. ცოტა ხნის შემდეგ კი რუსეთსა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის სომხეთის შუამავლობით მოლაპარაკებები დაიწყო, რასაც საბოლოოდ საქართველოს მხრიდან 2010 წლის 1 მარტს საზღვრის გახსნა მოჰყვა. ამ ფაქტმა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მათ საპროტესტო აქციაც გამართეს და ხელისუფლებისგან ახსნა-განმარტებები მოითხოვეს, თუ რატომ იხსნებოდა გამტარი პუნქტი, თუმცა დღემდე მათთვის არგუმენტირებული პასუხი არავის გაუცია.

ამ ფაქტით შეწუხებულმა მოხევეებმა გუშინ კინოს სახლში კონფერენცია გამართეს. კონფერენციის ორგანიზატორი სათემო კავშირი „სტეფანწმინდა“ იყო. სიტყვით გამოვიდნენ „სტეფანწმინდის“ წევრები ზაზა წიკლაური, ჯიმშერ წიკლაური, შოთა ბუჩუკური და სხვები. ისინი ყაზბეგის მოსახლეობის იმ პრობლემებზე საუბრობდნენ, რომელიც მათ ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნის შემდეგ შეექმნათ. სათემო კავშირის განცხადებით, მოხევეებისთვის ყველაზე დიდ სატკივარს ის წარმოადგენს, რომ გადაწყვეტილება საზღვრის გახსნის შესახებ ისე მიიღეს, რომ მათ არაფერი ჰკითხეს და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საკუთარმა ხელისუფლებამ მოატყუა კიდეც. 2009 წლის შემოდგომაზე გამართულ უშიშროების სხდომის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საზღვარი მხოლოდ სომხური ტვირთებისთვის გაიხსნებოდა და იგი ჩაკეტილი იქნებოდა მოსახლეობისთვის. თუმცა, როგორც საზღვრის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე გახდა ცნობილი, გარდა სომხური ტვირთებისა, ამ გამშვები პუნქტით სარგებლობა შეეძლებოდათ როგორც საქართველოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს.

რაც შეეხება საზღვრის გახსნის მიზეზს, როგორც სომხეთის სახელისუფლებო და ბიზნესწრეების წარმომადგენლები, მთელი ამ პროცესის განმავლობაში აცხადებდნენ, მათთვის ლარსის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან იგი მკვეთრად ამცირებდა ტვირთების ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯებს, რეალური გათვლებით დასტურდებოდა, რომ სომხეთის ეკონომიკის ამ გზის გახსნას ნამდვილად არ ჰქონდა უმთავრესი მნიშვნელობა. სომხეთის ტვირთისთვის როგორც ფინანსურად, ასევე უსაფრთხოების მხრივ ფოთისა და ბათუმის პორტების გავლით ტვირთების ტრანსპორტირება უფრო სასურველია, ვიდრე ლარსის გავლით. ამ მოსაზრებას თავად სომხეთშიც ადასტურებენ და აცხადებენ, რომ მათთვის და მათი ეკონომიკისთვის ლარსის გახსნა ნამდვილად არაა დიდი შეღავათი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ინიციატივა საზღვრის გახსნის შესახებ ეკუთვნის არა სომხეთს, არამედ რუსეთს. ჩვენი ხელისუფლება კი აცხადებს, რომ საზღვრის გახსნით საქართველო, კონკრეტულად სამხედრო გზაზე მცხოვრები მოსახლეობა დამატებით შემოსავლებს მიიღებენ და ამით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდება. სათემო კავშირი „სტეფანწმინდის“ თქმით, ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნით საქართველო, ქართული ბიუჯეტი ვერც ერთ თეთრს ვერ მიიღებს.

ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას თავისი გადაწყვეტილების გასამართლებლად მოჰყავს, ესაა მეზობელი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება. მას შემდეგ კი, რაც ლარსის სასაზღვრო პუნქტი გაიხსნა, აღიარებული ყარაბაღის პრეზიდენტმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა სცნო, ცნობილია, რომ ყარაბაღს სომხეთთან ერთად რუსეთის ხელისუფლება კურირებს და ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მთელი ამ პროცესიდან წაგებული მხოლოდ საქართველო გამოვიდა.

კონფერენციის ბოლოს „სტეფანწმინდამ“ სპეციალური მიმართვა წაიკითხა ქართველი ერისა და საქართველოს ხელისუფლებისადმი. მათ აუცილებლად მიაჩნიათ დარიალის ხეობის ჩაკეტვა. სათემო კავშირის ერთ-ერთი წევრის **შოთა ბუჩუკურის** განცხადებით, მათი მთავარი მიზანია, ხელისუფლებას და მოსახლეობას დაანახონ ის საფრთხე, რომელიც ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის შემდეგ წარმოიშვა. ისინი მიმართავენ ხელისუფლებას, რომ დაიხუროს ლარსის პუნქტი, რათა ზაფხულში რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ავიცილოთ.

**ხატია მუსერიძე**

**ინფორმაცია**

## ბურჯანაძეს აინტერესებს – რატომ არის ჩვენი ხელისუფლება გონებაჩლუნგი

**გუშინ უკრაინის დედაქალაქ კიევიდან დაბრუნებული „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საქართველოს ხელისუფლებას პრო-**



**ვოკაციის მოწყობის მცდელობაში ადანაშაულებს. ინციდენტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მოხდა. ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე მისი ბარგის საათნახევრიანმა ჩხრეკამ გაალიზიანა.**

**ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლება მსგავსი პროვოკაციებით იმის გადაფარვას ცდილობს, რაზეც იგი ამ დღეებში აპირებს საუბარს. ბურჯანაძის თქმით, ვიზიტის ფარგლებში მას საინტერესო შეხვედრები ჰქონდა და მათ შესახებ უახლოეს დღეებში აუცილებლად ისაუბრებს.**

**– ძალიან მაინტერესებს, რატომ არის ჩვენი ხელისუფლება ასეთი გონებაჩლუნგი და რატომ ჰგონია, რომ აქ ჩემოდნებით ფულს შემოვიტან და მერე ვანო მერაბიშვილს ამას ყველა ტელევიზიით გავაშუქებინებ. ალბათ, მათ უნდათ ამით ძალიან ბევრი რამ გადაფარონ, რის თქმასაც მე ამ დღეების განმავლობაში ვაპირებ, ჩემი ვიზიტებიდან გამომდინარე, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

**ინფორმაცია**

## „მოდულის“ შენობაში „მუდმივი წესით“ 2 173 სამხედრო მოსამსახურის დისლოცირებას აპროტესტებენ

**„ალიანსი საქართველოსთვის“ ე.წ. „მოდულის“ შენობაში „მუდმივი წესით“ 2 173 სამხედრო მოსამსახურის დისლოცირებას აპროტესტებს. ამის შესახებ „ალიანსის“ მაჟორიტარმა კანდიდატმა მამუკა კაციტაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

**კაციტაძემ ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილის შალვა ჯანაშვილის წერილი გააცნო, რომელიც ჯანაშვილმა ვაკის 2 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს კონსტანტინე ამირაჯიბს გაუგზავნა. წერილის თანახმად, ე.წ. „მოდულის“ შენობაში, 30 მაისის არჩევნებზე 2 173 სამხედრო მოსამსახურე იქნება დისლოცირებული.**

**კაციტაძის განცხადებით, ეს „შესაბამისი დისლოკაციის ადგილი“ ამ საარჩევნო ოლქის საზღვრებში, წარმოადგენს ე.წ. „მოდულის“ შენობას, რომელიც თავის მხრივ, შსს-ს ექვემდებარება.**

**„სხვადასხვა დროს არჩევნებისას ამ უბანზე, ე. წ. „დახურულ უბანზე“ სხვადასხვა ოდენობის ამომრჩეველი იყო მიწერილი: 2004 წელს ეს რიცხვი 517 იყო, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს – 1 257, წელს კი ეს რიცხვი 916 – ით გაიზარდა და შსს მინისტრის მოადგილის წერილზე დაყრდნობით ახლა 2 173 – ს შეადგენს“, – აღნიშნა კაციტაძემ.**

**მისივე თქმით, „მუდმივი წესით“ ერთსა და იმავე ადგილას განთავსება, ყაზარმულ რეჟიმში ყოფნას ნიშნავს, რაც გულისხმობს, რომ ეს ადამიანები, 2 173 სამხედრო მოსამსახურე მითითებულ ადგილას უნდა ცხოვრობდეს, ამისთვის საჭირო ყველა პირობის გათვალისწინებით: ძილი, კვება და შესაბამისი ცხოვრებისეული პირობებით უზრუნველყოფა. კაციტაძის განცხადებით კი, სამხედრო მოსამსახურეთა ყოველივე ხსენებული მომსახურებით უზრუნველყოფა მითითებულ ადგილზე ფიზიკურად შეუძლებელია.**

**„მივმართავთ ცენტრალურ საარჩევნო და ვაკის საოლქო კომისიებს და მოვითხოვთ გამოიყოს სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის, შესაძლებელია თუ არა „მოდულის“ შენობაში „მუდმივი წესით“ 2 173 სამხედრო მოსამსახურის დისლოკაცია“, – განაცხადა კაციტაძემ..**

## პატიმარი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილი პირობებისა და პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ, უყურადღებობას აპროტესტებს.**

**„რამდენიმე დღის წინათ ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან დაგვიკავშირდა ჩვენი პარტიის წევრი, პოლიტპატიმარი გივი (ჯონი) ვანიშვილი, რომელიც სასჯელს ადმინისტრირირებული მუხლით იხდის, იგი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად მისი არაერთი მოთხოვნისა, მას ყურადღებას არავინ აქცევს და შესაბამისად მისი მდგომარეობაც დღითი დღე უარესდება“, – გვაცნობეს პარტიის პრესსამსახურიდან.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით, პარტია ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს მიმართავს, რომ დაინტერესდნენ საკითხით.**

**„მოვუწოდებთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს დაუყოვნებლივი რეაგირებისკენ, რათა ამ მდგომარეობით გამოწვეული შესაძლო უმძიმესი შედეგი თავიდან იქნას აცილებული“, - აცხადებენ პარტიაში.**

**მათი ინფორმაციით, გივი (ჯონი) ვანიშვილი იმ ე.წ. პოლიტპატიმართა სიაშია, რომელზეც კონსერვატიული პარტია და „ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები საქართველოში“ მუშაობდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**კონფლიქტის ზონა**

## სეპარატისტები ცხინვალ-ახალგორს მოკლე გზით დააკავშირებენ

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი ცხინვალი-ახალგორის მიმართულებით ე.წ. მოკლე გზის მშენებლობის დაწყებას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას „ოსინფორმი“ ავრცელებს.**

– ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგები ვართ ცხინვალიდან ახალგორის მიმართულებით გზის მშენებლობის ძველი გეგმის. რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების სამინისტრომ სამხრეთ ოსეთის მოსაზრება უნდა გაითვალისწინოს და გზის მშენებლობის ახალი გეგმა შეიმუშაოს, – განაცხადა კოკოითიმ.

მისივე შეფასებით, ახალგორის მიმართულებით ახალი, ე.წ. მოკლე გზა, გაცილებით მოსახერხებელია და დასახლებულ პუნქტებზე გადის, რაც მნიშვნელოვანია, იაფიც დაჯდება.

რუსეთის რეგიონალური განვითარების სამინისტრომ ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმს დღეისთვის არსებული ცხინვალი-ახალგორის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა შესთავაზა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში კი აღნიშნული გზის მთავარ ნაკლად მის მდებარეობას თვლიან, რადგან გზა რეგიონის მთიან ნაწილში გადის, რაც ზამთრის დროს გადაადგილების პრობლემებს შექმნის.

ჯი-ეიჩ-ენი

**ვაზუსტებთ**

## გზა, რომელიც სიკეთეს მოუტანს საქართველოს



თამაზ შილაკაძე

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა საგზაო საქმის დიდი სპეციალისტის, დამსახურებული ინჟინრისა და გამომგონებლის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, დოქტორისა და პროფესორის, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის (შპს „საქგზამეცნიერება“ძ დირექტორის, საპატიო თბილისელის, ბატონ თამაზ შილაკაძის ფრიად საყურადღებო ნაუბარი – „გზა, რომელიც სიკეთეს მოუტანს საქართველოს“.**

**რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორსა და მკითხველს გვარში დაშვებული კორექტურული უზუსტობისთვის.**

◉ გულახდილი საუბარი

# „დასავლეთის გასაბჭოებისა და ობამას სახიფათო პოლიტიკის ფონზე საქართველოს, ჯერჯერობით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს“

## ინტერვიუ პოლიტოლოგ დავით ბერიტაშვილთან



**— ბატონო დავით, ქართული ექსპერტების ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის 30 მაისის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვას არ გამორიცხავს. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია რეალურად ვითარების დესტაბილიზაცია?**

— საქართველოში დესტაბილიზაციით იმდენი პირია დაინტერესებული, რომ საბაბს დიდი მნიშვნელობა არ აქვს და სრულიად შესაძლებელია, ამისათვის არჩევნებიც იქნას გამოყენებული. თუმცა ობიექტურად, თავად მოსახლეობაში ვითარების დაძაბვისა და მორიგი არეულობისთვის განწყობა არ არსებობს. წინასაარჩევნო გამოკითხვები, რომელშიც ცდომილება მხოლოდ 2-2,5 პროცენტს შეადგენს, საქართველოში ისეთმა გუნდებმა ჩაატარეს, რომლებიც საკუთარ აკადემიურ რეპუტაციას ძალიან უფრთხილდებიან და ამ გამოკითხვების შედეგები რეალურ სურათს აჩვენებს. რაც შეეხება ოპოზიციის ორ-ორპროცენტიანი მხარდაჭერის მქონე მცირე ნაწილის წამოყვირებებს, თითქოს ხმებს ჰპარავენ, არჩევნებს უყალბებენ და ა.შ., ეს უბრალოდ არასერიოზულია და საკუთარი ელექტორატის საარჩევნო პრაქსისთვის მომზადების მცდელობებს უფრო წააგავს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ვითარების გამწვავების მიზეზს მუდმივად ეძებს, როგორც ეს, მაგალითად, პოლიციის დღესთან დაკავშირებით მოხდა, მოსახლეობაში უმიზეზო შფოთის მუხტი ძალიან დაბალია. ასე რომ, ვფიქრობ, თუ არჩევნების პროცესში ქვეყნის გარედან აშკარა ჩარევას არ ექნება ადგილი, ხელწამოსადებს ვერაფერს იპოვნიან, რადგან ხელისუფლება მშვიდადაა და თვითმმართველობის არჩევნების ნორმალურად ჩატარებისა და მოგებისთვის არანაირი ზედმეტი „ფოკუსნიკობა“ არ სჭირდება. ჩემი აზრით ოპოზიციის უდიდესი ნაწილი თავადაც ხვდება, რომ ამჯერად არჩევნებს ვერ მოიგებს. შესაბამისად, ვითარების გართულების ვერანაირ ობიექტურ მიზეზს პირადად მე, ვერ ვხედავ.

**— საუბარში პოლიციის დღე ახსენეთ და ბრძანეთ, რომ ეს ოპოზიციის მხრიდან დესტაბილიზაციის საბაბის ძიების მორიგი მცდელობა იყო. ასეა თუ ისე, როგორ ფიქრობთ, რატომ შეარჩია ხელისუფლებამ პოლიციის დღისთვის მაინცდამაინც 6 მაისი?**

— დიახ, 6 მაისი — გიორგობა პოლიციის დღედ გამოცხადდა და ალლუმიც ჩატარდა. ოპოზიციამ ეს, ერთის მხრივ, გიორგობის დღესასწაულის დაცინვად და საპატრიარქოსთან ბრძოლის მორიგ გამოვლინებად, მეორეს მხრივ, კი თავად ოპოზიციისა და ხალხის შეურაცხყოფად გამოაცხადა იმასთან დაკავშირებით, რაც გასული წლის 6 მაისს პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მოხდა. ალბათ ოპოზიცია გულისხმობს, რომ 6 მაისს — გიორგობას, დილით, ჭეშმარიტი ქართველი ქრისტიანი ეკლესიაში უნდა წავიდეს, ილოცოს და იქიდან მხოლოდ საღამოს გამოვიდეს. მაგრამ მოდით, ერთი წლით უკან დავიხიოთ და ვნახოთ, რას აკეთებდნენ მერაბიშვილისა და ზოგადად ხელისუფლების ოპონენტები 2009 წლის 6 მაისს. შუა დღიდან მათ პარლამენტის წინ აგრესიული რიტორიკით გადატვირთული მიტინგი გამართეს, შემდეგ იქ აღგზნებული უმცროსი გაჩეჩილაძე გამოჩნდა და ამ წმინდა დღეს, ეკლესიაში ლოცვის მაგივრად, ხალხს პოლიციაში წასვლისა და „უდანაშაულო“ პატიმრების გათავისუფლებისკენ მოუწოდა. ჯერ ერთი, რას ნიშნავს „უდანაშაულო პატიმრები“? რაც ჩაიდინეს იმ „უდანაშაულო პატიმრებმა“, მთელმა საქართველომ ნახა და შესაბამისად, მათთან დაკავშირებით ხელისუფლებისადმი პრეტენზიები ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული! წლევანდელ 6 მაისს პოლიციის ალლუმის მიმდინარეობისას, როცა ოპოზიციის ნაწილმა რკინიგზის შემოვლა და პოლიციის ალლუმის ჩაშლა დააპირა, ყველამ ვნახეთ, რომ მათ სულ რაღაც ერთი მუჭა ხალხი გაჰყვა. რაც შეეხება განცხადებებს იმის შესახებ, რომ თავად ხელისუფლება 6 მაისის პოლიციის დღედ გამოცხადებითა და ალლუმის ჩატარებით პროვოკაციაზე წავიდა, პროვოკაციის მოწყობა უმრავლესობის წინააღმდეგ მხოლოდ უკმაყოფილო უმცირესობას აწყობს, უმრავლესობის მიერ მოწყობილი პროვოკაცია კი ძალიან ძნელი წარმოსადგენია, მით უფრო — როცა მას ამის არანაირი საჭიროება არ აქვს.

**— ბოლო დროს თავად ხელისუფლებაში შიდა დაპირისპირების შესახებ საუბრები გახშირდა. ამ კონტექსტში ერთ-ერთ მიზეზად თბილისის მერობის სახელისუფლებო კანდიდატის გიგი უგალავას კანდიდატურის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა სახელდება. სწორედ ამით ხსნიან იმ ფაქტს, რომ სახელისუფლებო გუნდმა მისი კანდიდატურის დასახელება საკმაოდ დაიგვიანა. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ხელისუფლებამ კანდიდატი კანონით განსაზღვრულ ვადებში — 30 აპრილამდე დაასახელა, ასე რომ, მას, ვინც უგულავას ფაქტორს შიდა სახელისუფლებო განხეთქილებაზე სასაუბროდ იყენებს, რაღაც სხვა, უფრო საფუძვლიანი მონაცემები სჭირდება ამ შიდა დაპირისპირების დასასაბუთებლად. პირადად მე ასეთი მონაცემები არ გამაჩნია. ზოგადად კი, შევახსენებდი ოპოზიციას, რომ ერთიან კანდიდატზე სწორედ მან ვერ მოახერხა შეჯერება, რითაც ბევრი დაკარგა. არ ვფიქრობ, რომ ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი გაიმარჯვებდა, თუმცა ოპოზიცია ამ არჩევნებზე ბევრად უკეთეს შედეგს მიაღწევდა, ვიდრე არსებულ პირობებში, როცა მის ერთ ნაწილს — 10-პროცენტიანი, ნაწილს — 8-პროცენტიანი, ზოგს კი სულაც 2-პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს.

**— მინდა, არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის რუსეთში ვიზიტებსაც შევეხოთ. ზოგადად ამ ვიზიტების მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობა სკეპტიკურია, თუმცა იმაზე, რომ რუსეთთან გარკვეულ საკითხებზე საუბარი აუცილებელია, უკვე დასავლელი დიპლომატები და საერთაშორისო ორგანიზაციებიც მიგვანიშნებენ. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება აღნიშნული ვიზიტები და რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს რიგი ოპოზიციონერების საუბარი რუსეთის ხელისუფლებასთან?**

— პირადად ჩემი აზრით, არანაირ სხვა მიზანს, გარდა საკუთარი რეიტინგის ოდნავ მაინც ამაღლებისა, ეს ვიზიტები არ ემსახურება. ეს სასოწარკვეთილების ვიზიტებია, იმიტომ, რომ თუ შენს უკან მოსახლეობის მაქსიმუმ 3-4 პროცენტია, ბუნებრივია, ყველა გზას ეძებ პოლიტიკურ სპექტრში საკუთარი პოზიციების დასამკვიდრებლად. რაც შეეხება ქართული საზოგადოების განწყობას, ის არასოდეს ყოფილა ანტირუსული და არც ახლა არის. მე, მაგალითად, რუსი ცოლი მყავს, ემიგრაციიდან ოჯახთან ერთად დავბრუნდი და ბავშვები მყავს, რომლებიც ქართულს ახლა სწავლობენ, ჯერჯერობით კი უფრო კარგად რუსულად საუბრობენ. ის, თუ როგორ ექცევიან მათ მაღაზიებში, ან ქუჩებში, როცა გზას კითხულობენ, ესაა ჩემთვის ბარომეტრი. საქართველოში ანტირუსულ განწყობას ვერ ვხედავ. არის ანტიიმპერიალისტური, ანტიოკუპაციური განწყობა, მაგრამ არა ანტირუსული და რა უნდათ მოსკოვში ჩვენს ოპოზიციონერებს, ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

**— თავად რუსეთს რისთვის სჭირდება, თქვენი აზრით, შეხვედრები დაბალრეიტინგულ ოპოზიციონერ ლიდერებთან?**

— არსებობს რუსეთის შიდა პოლიტიკა და ის პროპაგანდა, რომელსაც კრემლი მუდმივად ეწევა. მეჩვენება, რომ კრემლს თვითონაც ნაწილობრივ მაინც სჯერა ამ პროპაგანდისტული კლიშეების და ჰგონია, რომ დღესხვალ სააკაშვილის „ფაშისტურ რეჟიმს„ გაავთრებული ქართული მოსახლეობა წალეკავს. ამისათვის რუსეთი დასაყრდენ ფიგურებს ეძებს, რადგან როცა სააკაშვილს „კომბლებით გააგდებენ“, როგორც ხაინდრავა ამბობს ხოლმე, ვიღაც ხომ უნდა ჰყავდეს მომზადებული რუსეთს შემცვლელად?! სწორედ ამისათვის ამ ადამიანებს იყენებენ. ნინო ბურჯანაძეს ხომ ძალიან პატრიოტული და ანტიიმპერიული გამოსვლები ჰქონდა იგივე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 100 წლისთავის დროს პეტერბურგში და მაშინ რუსეთის ხელმძღვანელობას ყველაფერი ღიად უთხრა. ამის მერე რატომ ენდობიან ბურჯანაძეს კრემლში, ძალიან მიკვირს.

საერთოდ, საქართველოში კადრების პრობლემა, რასაკვირველია, გვაქვს. კადრების გარკვეული ნაწილი მართლაც შეუმოწმებლად მოვიდა ხელისუფლებაში, — იგივე სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც თურმე, შეუძლია, პირადი წყენისა და ამბიციის ნიადაგზე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას ძირი გამოუთხაროს.

ჩვენ დასავლეთისკენ მივისწრაფვით, რომელთანაც დემოკრატიული ფასეულობები გვაერთიანებს. ამავდროულად მოვიაზრებით სატრანზიტო ქვეყნად. რუსეთის წერტილოვანმა დაბომბვებმა, რომლებმაც კინაღამ ააფეთქა მილსადენი, ქვეყნის ტრანზიტული ფუნქცია ეჭვქვეშ დააყენა, ახლა კი ოპოზიცია დასავლეთთან კავშირის დარჩენილი პოზიტივის — დემოკრატიული იმიჯის შერყევას ცდილობს. სწორედ ამის მცდელობად ვაფასებ იმ ფაქტს, რომ საქართველოდან დასავლეთის სხვადასხვა ინსტანციებში, თვეში რამდენიმე ასეული წერილი იგზავნება იმის მტკიცებით, რომ საქართველოში ფაშისტური რეჟიმი ბატონობს და უამრავი პოლიტპატიმარია.

იხ. 4 გვ.

◉ დედაქალაქი

# გიორგი ლალიძე გიგი უგულავას მოუწოდებს...

**მოახლოვდა თვითმმართველობის არჩევნები და მერობის კანდიდატები ქალაქში არსებულ პრობლემებზე ალაპარაკდნენ. თბილისის მოსახლეობის ბედით დაინტერესებულნი ერთი უბნიდან მეორე უბანში დაუსრულებლად მოგზაურობენ. რომ იტყვიან ერთი წლის საქმეს ერთ თვეში აკეთებენ. ამიტომაც არის მოსახლეობა რომ ხშირად ხუმრობს „ნეტა სულ არჩევნები იყოსო“.**



გადატვირთული პოლიტიკოსები ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობენ და მიუხედავად „დაწურული“ დღის რეჟიმისა, მოსახლეობასთან შესახვედრად მაინც მიდიან. ქალაქში არსებულ პრობლემებს ადგილზე ეცნობიან და გამარჯვების შემთხვევაში მათ აღმოფხვრას აღუთქვამენ მოსახლეობას.

პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა, თბილისის მერობის კანდიდატმა გიორგი ლალიძემ გუშინ პრესკონფერენციაზე არჩევნებამდე სასწრაფოდ გადასაჭრელი სამი პრობლემა დაასახელა.

„პირველ რიგში, რაც მოსახლეობას აწუხებს, არის სოციალური და დასაქმების პრობლემები, მათ არ აქვთ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები. თუმცა, გამოვყოფ რამდენიმე პრობლემას, რომელიც სასწრაფოდ არის გადასაწყვეტი: პირველი — ეს არის ნაგავსაყრელების პრობლემა. მაგალითად, თემქაზე ე. წ. არაშენდას კორპუსების გვერდით საშინელი ანტისანიტარიაა. ნაგავსაყრელის პრობლემაა სტუდქალაქშიც. მეორე პრობლემა, რაც მოსახლეობას აწუხებს, მაწანწალა ძაღლების პრობლემაა. ხელისუფლებას თითოეული მაწანწალა ძაღლის დასაჭერად 16 ლარი და 70 თეთრი აქვს გამოყოფილი“ — აღნიშნა გიორგი ლალიძემ.

პრესკონფერენციაზე მესამე „უმთავრესად მოსაგვარებელ“ პრობლემად მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებული ანტისანიტარია დაასახელა.

თბილისის მერობის კანდიდატი მოქმედ მერს — გიგი უგულავას მოუწოდებს არსებული პრობლემის სასწრაფოდ მოგვარებას. „ეს ის საკითხებია, რომლებსაც დიდი დრო არ სჭირდება თუკი ხელისუფლებას ამის შესრულების კეთილი ნება ექნება. აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით თბილისის მერს ხვალ ოფიციალური წერილით მივმართავ“,— აღნიშნა ლალიძემ.

პრობლემები, რომელიც პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა, მერობის კანდიდატმა გიორგი ლალიძემ ორი-სამი დღის წინათ აღმოაჩინა, უკვე დიდი ხანია საზოგადოების პრობლემად ითვლება. იმას, რაც ლალიძემ ქალაქის ცენტრში ახლახან აღმოაჩინა, გარეუბნებში მცხოვრებნი დიდი ხანია უჩივიან. მიწისქვეშა გადასასვლელები, რომელიც წინა არჩევნებისთვის სახელდახელოდ გაასუფთავეს და გადაღებეს, წვიმის დროს დაიტბორა. ამას ისიც დაემატა, რომ ახლო შემოგარენში არსებულ ნაგავს ქარმა იქ მოუყარა თავი. მას შემდეგ იმ გადასასვლელის არსებობა აღარავის გახსენებია.

რაც შეეხება მაწანწალა ძაღლებს ეს თემა წლების განმავლობაში აქტუალური იყო და ისევ აქტუალურად რჩება. ქალაქის ცენტრში არსებულ სკვერებთან თუ თითო-ოროლა მაწანწალა ძაღლი დადის, ქალაქგარეთ ძაღლების ხროვა დადიოდა და ისევ დადის. შემცირების ნაცვლად მათი რაოდენობა დღითი დღე მატულობს. აქედან გამომდინარე, ალბათ ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება რომ ვთქვათ, პრობლემები რის მოგვარებასაც ახლა სასწრაფოდ ითხოვს „მომავალი საქართველოს“ ლიდერი, ახლა კი არ გაიგო, დიდი ხანია იცის. ახლა კი წინასაარჩევნო კამპანიისთვის იყენებს.

**თინათინ ბორცვაძე**

◉ ინფორმაცია

## შაშკინი ხელთუბანს ესტუმრა

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გორის რაიონის ხელთუბნის ახლადგარემონტებული საჯარო სკოლა დაათვალიერა.**

**ხელთუბნის სკოლის რეაბილიტაციის მიზნით 380,000 ლარზე მეტი დაიხარჯა: გამოიცვალა ფანჯრები, სახურავი, ელ. გაყვანილობა, სკოლა აღიჭურვა თანამედროვე გათბობის სისტემით, ჩატარდა სამღებრო სამუშაოები, მოხდა შენობის ადაპტაცია უნარშეზღუდული პირებისათვის. შაშკინის განცხადებით, რეაბილიტაციის შედეგად სოფელ ხელთუბნის სკოლის მოსწავლეები გაუმჯობესებულ სასწავლო გარემოში განაგრძობენ სწავლას.**



ჯი-ეიჩ-ენი

◉ გულახდილი საუბარი

# „დასავლეთის გასაბჭოებისა და ობამას სახიფათო პოლიტიკის ფონზე საქართველოს, ჯერჯერობით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს“

(მესამე გვერდიდან)

პოლიტპატიმრებს შორის მრავალი თვის განმავლობაში პირველ ნომრად ჟურნალისტი შალვა რამიშვილი ფიგურირებდა. არადა, ყველას გვაქვს ნანახი დოკუმენტური ფილმი მის საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც ნათლად ჩანს, როგორ გადადის ხელიდან ხელში ფული. მართალია, ეს ადამიანი ოპოზიციაში იყო, მაგრამ ფულის გამოძალვა და ოპოზიციაში ყოფნა ერთმანეთთან არ უნდა გაიგივდეს.

**— ოპოზიციის წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად ამბობენ, რომ დასავლეთი სააკაშვილით უკმაყოფილოა. ბოლო დროს კი მათი მხრიდან გახმიანდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ სააკაშვილს უგულავათი ჩაანაცვლებენ. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია მომავალში საპრეზიდენტო კანდიდატად გიგი უგულავა ვიხილოთ?**

— როგორ შეიძლება, ისეთ არასტაბილურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, გათვლა 2013 წლისთვის გააკეთო?! ის, რომ უგულავა სააკაშვილს ჩაანაცვლებს, ოპოზიციის მხრიდან მორიგი სპეკულაციაა. ამ აზრს, ჯერჯერობით, არანაირი რეალური ნიადაგი არ აქვს.

**— მინდა, ხელისუფლებისა და საპატრიარქოს შორის ურთიერთობებზეც გკითხოთ, რაც ბოლო დროს არაერთი ჭორის, ვარაუდისა და დაპირისპირების თემა გამხდარა.... თქვენი შეფასებით, მართლაც არსებობს თუ არა მათ შორის დაპირისპირება?**

— დაპირისპირებაზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებ. ვფიქრობ, მთავრობა საკმაოდ კორექტულად ექცევა ეკლესიას, სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი კი, ხელისუფლებას „ეკლესიების დამანგრევლად“ მოიხსენიებს, მინდა, გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული დავით ქართველიშვილის სტატიების წაკითხვა შევთავაზო. ეს მასალები ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საეკლესიო ძეგლების აღდგენის კუთხით არსებულ მონაცემებს მოიცავს. ირკვევა, რომ სახელმწიფოს დახმარებით ამ პერიოდში 201 საეკლესიო ობიექტი იქნა აღდგენილი. ამ ფონზე ხელისუფლების ეკლესიასთან ბრძოლაზე საუბარი ცოტა უხერხულია. რაც შეეხება ფერიას მთის გახმაურებულ ამბავს, სხვათა შორის, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს გაფორმებულ კონკორდატში არსად წერია, რომ ეკლესიის მშენებლობა ნებისმიერ ადგილზე ოფიციალური საბუთების გაუფორმებლად დაშვებულია.

რამდენადაც ვიცი, ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირების თემამ რუსეთთან მიმართებაშიც გაიჟღერა. არაერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ რუსეთთან ურთიერთობის კუთხით ეკლესიამ იმ საქმის გაკეთება ითავა, რომელსაც ხელისუფლებამ თავი ვერ გაართვა. მე არ მსურს ვინმესთან, კონფრონტაცია, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია, რომ ამ და სხვა საკითხებზე ეკლესიასა და საზოგადოებას შორის უნდა გაიმართოს კონსტრუქციული დიალოგი, რათა ამ თემის ირგვლივ ყოველგვარი მითქმა-მოთქმა და უსაფუძვლო ინტერპრეტაციები აღმოიფხვრას. ჩვენ უნდა ვკითხოთ ჩვენს სინოდს, რომელიც რუსეთთან მიმართებაში ერთმორწმუნეობაზე გვესაუბრება, რა არის მთავარი — მართლმადიდებლური ერთიანობა რუსეთის ეკლესიასთან, რომელიც ნახევარი ათასწლეულის მანძილზე რუსეთის იმპერიალისტური ინტერესების შემსრულებელი იყო, თუ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული გამთლიანება, რაც რუსეთის ეკლესიის გეგმებში არანაირად არ შედის? საეკლესიო წრეების წარმომადგენლებისგან ხშირად მსმენია, რომ ვეებერთელა მართლმადიდებელი რუსეთი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ „კათოლიკეები შეგვჭამდნენ“. მე მათ ასე ვუპასუხებდი: როდის იყო, რომ კათოლიკეებს დაუპყრიათ ან დაუბომბავთ საქართველო, ან ავტოკეფალია გაუუქმებიათ?! ისე კი, თუ მართლმადიდებელი ეკლესიების იერარქიას შევხედავთ, მაშინ ნომერ პირველად საყოველთაოდ აღიარებულია კონსტანტინოპოლის პატრიარქი. რატომ არ გვინდა მასთან მეგობრობა და მაინცდამაინც მოსკოვისკენ მივდივართ?! რას ემსახურება ეს გაუგებარი ვიზიტები რუსეთში და შეხვედრა კარასინთან, რომელიც დილიდან საღამომდე საქართველოს დასაღუპად იღვწის? თუ ანაფორა გაცვია და გულზე ჯვარი გაქვს, ეჭვები აღარ გაჩნდება?! რატომ არ გვიყვებიან ჩვენ, ქართულ საზოგადოებას, რაზე საუბრობენ მოსკოვში შეხვედრების დროს? მე მგონია, რომ ამ საკითხებზე დიალოგი აუცილებლად უნდა გაიმართოს და შედეგსაც მივაღწევთ, ოღონდ საუბარი მყარ არგუმენტებს უნდა ეყრდნობოდეს და არა იმ კონფრონტაციულ კამპანიას, რომელსაც ამას წინათ ჰქონდა ადგილი. წარმოუდგენელია საქართველოს წინსვლა, თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი გზააბნეული იქნება და დასავლურ გეზს არ დაუჭერს მხარს.

**— ქართველი ოპოზიციონერებისა და ექსპერტების ნაწილის შეფასებით, საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებისადმი უკიდურესად უარყოფითია. თქვენი შეფასებით, როგორია საქართველოს მდგომარეობა საერთაშორისო არენაზე?**

— საერთაშორისო კუთხით მართლაც ძალიან უარყოფითი პროცესები მიმდინარეობს. პირველ რიგში, ვიტყოდი, რომ აქტიურად გრძელდება ევროპისა და ზოგადად დასავლეთის გასაბჭოება. ეს პროცესი ჯერ კიდევ შრიოდერის დროიდან დაიწყო, შემდეგ კი სარკოზიმ და მერკელმა განაგრძეს. ბერლუსკონიზე ხომ საუბარიც ზედმეტია! როდესაც რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა მიმდინარეობს და აღარ არსებობს საერთო მტერი — საბჭოთა კავშირი, შეიქმნა ილუზია, თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მათ შორის — ცივი ომიც. რუსეთი კი ამ დროს არა მარტო უკრაინის, არამედ მთელი დასავლეთ ევროპის მილსადენების „გაზპრომის“ ხელში ჩაგდებას ცდილობს. დასავლეთში უამრავი მსურველები არსებობს იმისა, რომ რუსეთის უმსხვილეს ბაზარზე შევიდეს და გარკვეული პრივილეგიებიც მიიღოს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საქართველო, ასე ვთქვათ, ხელისშემშლელი ფაქტორია, მით უფრო — ობამას მიერ დასახული სტრატეგიის ფონზე, რომ მთავარ მსოფლიო ძალებს — ევროკავშირს, ჩინეთს, რუსეთსა და მაჰმადიანურ სამყაროს დაუმეგობრდეს. ვნახოთ, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გვაქვს ობამას გეგმის განხორციელებაში: ჩინეთთან „სრულყოფილ“ მეგობრობას დემოკრატიული ტაივანი უშლის ხელს; მაჰმადიანურ სამყაროსთან მიმართებაში უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ისრაელის არსებობა; რუსეთთან დამეგობრებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი კიევის პროდასავლური გეზი იყო, მაგრამ კრემლმა უკრაინა უკვე ჩაიგდო ხელში. რჩება საქართველო. დღეს დასავლეთს არც პრინციპები აღელვებს და არც იდეალები, მას მხოლოდ ეკონომიკური მოგების მოსაზრებები აინტერესებს, როგორც ეს მარქსის ნაწარმოებებშია აღწერილი. კრემლი, თავის მხრივ, ამით ძალიან დახვეწილად მანიპულირებს.

**— ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკაზე უფრო დეტალურად ვისაუბროთ. თქვენ როგორ აფასებთ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს და ვაშინგტონის დამოკიდებულებას თბილისისადმი?**

— ის დარტყმა, რომელიც რუსეთმა საქართველოს აგვისტოს ომის დროს მიაყენა, რეალურად ამერიკის პრესტიჟზეც იყო მიტანილი. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ რუსული აგრესიის შესაჩერებლად ვერაფერი გააკეთა. ამან აჩვენა მთელს მსოფლიოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები ძალიანაა შესუსტებული. ობამას ახლა აშშ-ის პრესტიჟის ამაღლება სჭირდება, როგორც ქვეყნისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ლიდერი იყო, დღეს კი თითქმის აღარავინ უჯერებს და ამავდროულად შტატებს საკუთარი აზრის გამოხატვაც კი უჭირს, იმის შიშით, რომ მათ მაინც არავინ გაუწევს ანგარიშს. პრეზიდენტმა, რომელიც მოჯადოებულია ძლიერ ქვეყნებთან დამეგობრების იდეით, შეიძლება შემოწმებული მეგობრებიც დაკარგოს (ტაივანი, ისრაელი, საქართველოძ ახალი, სათუო მეგობრების შეძენის ილუზიის სანაცვლოდ. ასე არ შეიძლება, გარკვეული ბალანსი დაცული უნდა იყოს და ამ პროცესის მიმდინარეობისას პრინციპები არ უნდა დაიკარგოს. თუმცა პირადად ობამას გარდა, არსებობენ გავლენიანი ძალები სახელმწიფო დეპარტამენტში, პენტაგონში, რომლებიც სულ სხვაგვარად არიან განწყობილი. ობამები მოდიან და მიდიან, გავლენიანი გენერლები და მაღალჩინოსნები კი, რომლებიც აშშ-ის ისტებლიშმენტს წარმოადგენენ, რჩებიან.

თუმცა იმის თქმა არ მინდა, რომ საქართველო მთლად მიტოვებულია, რადგან გასული წლის აგვისტოს ომის შემდეგ შტატები ფინანსურად ძალიან დაგვეხმარა. რაც შეეხება სხვა ტიპის დახმარებას, ბუნებრივია, საქართველოს გამო არავინ დაღვრის თავისი ჯარისკაცების სისხლს!

**— როგორი უნდა იყოს თავად საქართველოს პოლიტიკა თქვენს მიერ აღნიშნული „დასავლეთის გასაბჭოებისა“ და „დიდ სახელმწიფოებთან დამეგობრების იდეით შეპყრობილი“ ობამას პოლიტიკის ფონზე?**

— საქართველომ საკუთარი ადამიანური რესურსებით რაც შეიძლება, ბევრ წარმატებასა და პოპულარობას უნდა მიაღწიოს მსოფლიოში. რაც შეიძლება, ბევრი ინვესტიციები უნდა მოვიზიდოთ. თუ ჩვენ სატრანზიტო ფუნქციების გაზრდას შევძლებთ, თუ ავღანეთის სამხედრო-ლოგისტიკური მარშრუტი საქართველოზე გაივლის, ბუნებრივად დაისმება ამ სატრანზიტო მარშრუტების დაცვის საკითხიც. ზოგადად, საქართველოს დაცვაში ეკონომიკური და პოლიტიკური მეთოდები უნდა დომინირებდეს. იმ მიმართულებებზე, სადაც ჩვენ გვიპირისპირდება რუსეთის ჯარი და ძალთა ბალანსი ჩვენთვის წამგებიანია, უნდა ვეცადოთ, საერთაშორისო დამკვირვებლების შესაყვანად პოლიტიკური გზები გამოვნახოთ, რათა გამოვრიცხოთ უშუალო სამხედრო შეტაკება რუსებთან. ჩვენი ჯარი ვერასოდეს გახდება იმ დონის, რომ როსტოვი ან ვლადიკავკაზი აიღოს, თუმცა აუცილებლად უნდა ავიდეს იმ დონემდე, რომ რუსეთის მორიგი შემოჭრის შემთხვევაში ორკვირიანი წინააღმდეგობის უნარი გააჩნდეს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯარის სიძლიერე ხალხის განწყობაზეც არის დამოკიდებული. როცა ოკუპანტი შემოდის, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ იმას აქვს, აგრესორისათვის სუფრის გაშლისთვის არის მზად მოსახლეობა, თუ წინააღმდეგობისთვის?

ჯერჯერობით კი რუსეთის ჯოხი საქართველოს ზურგზე ტყდება: იგი ყველაზე მისაწვდომია, ყველაზე დაუცველი, რადგან არ შედის უსაფრთხოების არც ერთ სისტემაში. ადრე თუ გვიან, მილსადენების საერთაშორისო ძალებით დაცვის საკითხი დადგება, ამ ეტაპზე კი ყველაზე დიდი იმედი საკუთარ თავზე უნდა დავამყაროთ.

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

◉ პრესკონფერენცია

# შალვა ნათელაშვილი კოლეგებს ბოიკოტისკენ მოუწოდებს



**2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს ერთ მუშტად ვიყავით შეკრული, ყველა ველოდით ახალ ცვლილებებს. მხოლოდ ლეიბორისტული პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს არ სჯეროდა „კეთილი“ ცვლილებებისა, ამიტომ ის მაშინ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებს თუ მომხრეებს არ შეუერთდა, დანარჩენი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით. ცოტა ხანში ერთსულოვნება ისე დაიშალა, მისგან სულ პატარა ნამცეცილა დარჩა. მერე იყო 7 ნოემბერი, მერე 9 აპრილი, საპარლამენტო არჩევნები, მერე ოპოზიციონერების მიერ დახეული საპარლამენტო მანდატები.**

დღეს 2010 წელია და 30 მაისს კიდევ ერთი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია დაგეგმილი, ამ არჩევნებში ის ოპოზიციონერებიც მონაწილეობენ, რომლებმაც მაშინ მანდატები დახიეს, ნათელაშვილი კი ისევ ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს. სწორედ ამ თემას ეძღვნებოდა პრესკონფერენცია, სადაც ნათელაშვილმა მედიისთვის განცხადება გააკეთა: მივმართავ ჩემს კოლეგებს ოპოზიციური პარტიებიდან, ნუ მიიღებენ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, მაშინ როცა ამდენი ოკუპირებული ტერიტორია გვაქვს, როცა არ შეგვიძლია კანდიდატები წარვადგინოთ ახალგორში და კოდორის ხეობაში. ამიტომ მოგიწოდებთ ბოიკოტი გამოვუცხადოთ არჩევნებს. ჩვენ 4 მილიონი ლარი შემოგვთავაზეს, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიგვეღო, მე იმას არ ვამბობ, რომ ჩემს კოლეგებსაც იგივე აკადრეს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ეს ფაქტი ნამდვილად მოხდა. რა უნდა ვუთხრათ ხალხს, რომელიც სააკაშვილმა და უგულავამ 7 ნოემბერს მოწამლეს, რა ვუთხრათ დედებს, რომელთაც შვილები ომში დაეღუპათ? მაშინ რატომ არ შევედით პარლამენტში, სადაც გადაწყვეტილებების მიღება ხდება? ამიტომ მივიჩნიეთ, რომ აუცილებელია ჩაიშალოს არჩევნები და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თუ ოპოზიციური პარტიები მოხსნიან კანდიდატურებს, შემოდგომაზე აუცილებლად დაინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები. გადარჩენის ერთადერთ ხსნას არჩევნების ბოიკოტში ვხედავთ, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**მერი ქურასბედიანი**

◉ ინფორმაცია

## სეტყვამ ყვარელი დააზარალა

**სეტყვამ, რომელსაც თან ქარიშხალი ერთვოდა, ყვარლის რაიონს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. სეტყვის შედეგად ყვარლის რაიონის სოფელ ბალღოჯიანში მოსავლის 70% განადგურებულია. დასეტყვილია, ბოსტნეული და ვენახები. ამასთან ძლიერმა ქარიშხალმა სახლებს სახურავები ახადა, რამდენიმე ათეული სახლის სარდაფში წყალიც ჩავიდა.**

**ქარიშხალმა ყვარელი-ლაგოდეხის საავტომობილო გზის პირას ხეები მოგლიჯა, რის გამოც აღნიშნულ საავტომობილო გზაზე მოძრაობა პარალიზებული იყო. ამ დროისთვის გზა ხეებისგან გაწმენდილია და მოძრაობაც აღდგა.**

**ძლიერმა ქარიშხალმა ელექტროგადამცემი ბოძებიც წააქცია, რის გამოც 3 სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.**

## შავი ზღვის ფლოტს რუსები სხვა ქვეყნის თავდასხმისთვის არ გამოიყენებენ

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებით, რუსეთი შავი ზღვის ფლოტს სხვა სახელმწიფოზე თავდასხმისთვის არ გამოიყენებს. ამის შესახებ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ ავრცელებს.**



**სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნულის შესახებ მედვედევმა უკრაინაში, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსვლისას, განაცხადა, სადაც ერთ-ერთმა სტუდენტმა ჰკითხა - აპირებს თუ არა რუსეთი სევასტოპოლში განთავსებული შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო მოქმედებში გამოყენებას.**

**— მოდით, პირდაპირ თქვით: გამოიყენებს თუ არა რუსეთი შავი ზღვის ფლოტს იმისთვის, რომ მოსაზღვრე სახელმწიფოს თავს დაესხას? ამის პასუხია — არა, ეს არ მოხდება. ჩვენ მშვიდობიანი ქვეყანა ვართ, — აღნიშნა მედვედევმა.**

## აფხაზეთში საკურორტო სეზონი რუსებმა გახსნეს

**რუსმა ტურისტებმა აფხაზეთში საკურორტო სეზონი უკვე გახსნეს. სოხუმის სანაპიროზე რუსი დამსვენებლები უკვე გამოჩნდნენ.**

**აფხაზური მხარის ინფორმაციით, აფხაზეთი მიმდინარე წელს შარშანდელზე მეტ ტურისტს ელის. შარშან, სეპარატისტების მონაცემებით აფხაზეთი 1 მილიონმა ტურისტმა მოინახულა, წელს კი 3 მილიონ ტურისტს ელოდებიან.**

**ამის მიზეზად სეპარატისტები აფხაზეთში დასვენებისათვის არსებულ მისაღებ ფასებს ასახელებენ. მათივე ინფორმაციით, აფხაზეთში დასვენება სოჭში დასვენებაზე 30 % -ით იაფია.**

ჯი-ეიჩ-ენი

ხედვა

***უკრაინის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეიძლება თქმა, რომ რუსულ-უკრაინული ურთიერთობების „გადატვირთვის“ პოლიტიკა დაიწყო, რომლის რეალური, ხელშესახები შედეგები გაცილებით მალე გაჩნდა, ვიდრე რუსულ-ამერიკულისა. უკრაინელი ექსპერტების ნაწილი იანუკოვიჩისა და მისი მთავრობის მოსკოვში ვიზიტების რეკორდულ სიხშირეზე, ასევე ორ სახელმწიფოს შორის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაფორმების ტემპების რეკორდულობაზე მიუთითებს. სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებმა დიმიტრი მედვედევმა და ვიქტორ იანუკოვიჩმა უკვე მოასწრეს რუსული ფლოტის სევასტოპოლში ბაზირების 25 წლით გახანგრძლივების შესახებ დოკუმენტის გაფორმება, რასაც მალევე პარლამენტების მიერ დოკუმენტის რატიფიკაცია მოჰყვა — მართალია, უკრაინის რადას შემთხვევაში — ხმაურიანი, მაგრამ მაინც. რუსეთთან დაახლოების სურვილი იანუკოვიჩს არც საპროტესტო აქციებმა გაუნელა, რომელიც რატიფიკაციის მეორე დღეს გაიმართა. მეტიც, რუსეთთან მიმართებაში საკუთარი განზრახვის ურყევობის დასამტკიცებლად უკრაინის პრეზიდენტმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომელიც, ბუნდოვანების მიუხედავად, დასავლეთის რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების შეშფოთების მიზეზად იქცა. იანუკოვიჩი რუსეთის მიმართულებით ენერგიული ნაბიჯების გადადგმას კვლავაც აგრძელებს და ერთ-ერთი ასეთი სავარაუდო ნაბიჯის შესახებ 13 მაისს გახდა ცნობილი: ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების საპასუხოდ რუსეთი სევასტოპოლში ბაზირებული შავი ზღვის ფლოტის პოზიციების გაძლიერებას და ახალი სამხედრო ბაზების გახსნას გეგმავს. საუბარია უპირველესად ბალაკლავაში საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოქმედი წყალქვეშა ნავების ბაზის აღდგენაზე. რა პროცესები მიმდინარეობს უკრაინაში? რა სახე შეიძლება, მიიღოს ამ ფონზე ქართულ-უკრაინულმა ურთიერთობებმა? რამდენად მოსალოდნელია, იანუკოვიჩის ხელისუფლებამ საქართველოს კონფლიქტური რეგიონები აღიაროს? - ამ და სხვა საკითხებზე „პირველი“ ცნობილ უკრაინელ პოლიტოლოგს ვლადიმირ ციბულკოს ესაუბრა.***



# „უკრაინელი ოლიგარქები სოხუმისა და ცხინვალის აღიარებით ევროკავშირის ბაზრის დაკარგვას არ გარისკავენ“

**— ბატონო ვლადიმირ, როგორ შეაფასებთ ხარკოვში რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტების მიერ მიღწეულ შეთანხმებას, რომლის თანახმად, რუსეთის შავი ზღვის ფლოტს უკრაინის ტერიტორიაზე ბაზირების ვადა 25 წლით გაუგრძელდა?**

— სევასტოპოლის მედალს ორი მხარე აქვს: ერთის მხრივ, თავად ქალაქის მოსახლეობის ჩვევები, მეორეს მხრივ კი — კიევის ხელისუფლების მხრიდან ქალაქის განვითარების თუნდაც რაიმე სახის სტრატეგიის არარსებობა. სევასტოპოლის საკითხის საბოლოო გადაწყვეტის მსგავსი გადავადება პერსპექტივაში სწორედ დემოგრაფიული კარტის გადათამაშების საშუალებას იძლევა და ვფიქრობ, უკვე უახლოეს ათ წელიწადში ქალაქში მოსახლეობის ბალანსი მათ სასარგებლოდ შეიცვლება, ვისთვისაც სევასტოპოლი წმინდა უკრაინული ქალაქი იქნება.

**— რუსული მედიის ცნობით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების საპასუხოდ რუსეთი სევასტოპოლში ბაზირებული შავი ზღვის ფლოტის პოზიციების გაძლიერებას და ახალი სამხედრო ბაზების გახსნას გეგმავს. საუბარია უპირველესად ბალაკლავაში საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოქმედი წყალქვეშა ნავების ბაზის აღდგენაზე. რამდენად განხორციელებადია აღნიშნული გეგმა?**

— ეს უფრო სიმბოლური თამაშია, რადგან ბალაკლავაში საკმარისი ინფრასტრუქტურა ამჟამად უბრალოდ არ არსებობს. სიტუაცია უფრო იმპერიის უკანასკნელ გაბრძოლებას მაგონებს, ვიდრე აღორძინებას. შავი ზღვის ფლოტის ობიექტები ხომ მხოლოდ სევასტოპოლის ტერიტორიაზე ისედაც არ არის განლაგებული! ვფიქრობ, ეს ძალისხმევა განსაზღვრულ ოპერატიულ-ტაქტიკურ ღირებულებებს ვერ ჩამოაყალიბებს და მხოლოდ რუსული ელიტის შიდა გათვლებისა და თამაშების გადაფარვის მცდელობას წარმოადგენს. თუ კონსპირაციულ ვერსიას განვიხილავთ, ეს მანევრები რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის, როგორც პუტინის სავარაუდო ლიბერალური ალტერნატივის გასაძლიერებლადაა მიმართული. სადღეისოდ არსებული რეიტინგით ხომ პუტინსა და მედვედევს შორის მხოლოდ 7-პროცენტიანი სხვაობაა, რომელიც მედვედევის სასარგებლოდ მცირდება?! ექსპერტების ნაწილი მედვედევის შესაძლო გამარჯვებას რუსეთის მხრიდან იმპერიული მარყუჟების მოსუსტებისა და კრემლის შიდა რუსულ პრობლემებზე კონცენტრირების შანსად განიხილავს.

**— უმაღლეს რადაში აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირება ჩხუბის, კვერცხის სროლის ფონზე მბოლავი მაშხალების კვამლში განხორციელდა, პარლამენტს გარეთ კი იულია ტიმოშენკოს მიერ ორგანიზებული მრავალათასიანი აქცია გაიმართა. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნულს „მოკლე კონცერტი“ უწოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ოპოზიციის გაერთიანება და კიევში მასობრივი აქციების დაწყება?**

— ჩემი პროგნოზით, მომდევნო წლებში სამართლებრივი სპექტრის სრულმასშტაბიანი გადატვირთვა განხორციელდება. უახლოეს არჩევნებზე კი მმართველი „რეგიონების პარტია“ სისტემური რეფორმების არარსებობის გამო „წითელ ბარათს“ მიიღებს და პოსტიმპერიალისტური ძალების გავლენის არეალი 6 ოლქამდე შემცირდება. შეგახსენებთ, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის აღიარების მომენტისთვის მხოლოდ სამი არაკომუნისტური ოლქი გვქონდა, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე კი იმპერიალისტი იანუკოვიჩის სასარგებლოდ 27-დან მხოლოდ 10-მა რეგიონმა მისცა ხმა.

**— რუსული მხარე მისი ფლოტის სევასტოპოლში ბაზირების 25 წლით გახანგრძლივებასთან დაკავშირებით უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხის „გაყინვაზე“ საუბრობს. როგორ ფიქრობთ, მართლაც „გაიყინა“ უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება?**

— პოლიტიკოსებისთვის ამ რიტორიკულ საკითხთან დაკავშირებით სამხედროები სულ სხვა ტიპის კომენტარებს აკეთებენ. არსობრივად, უკრაინის ჯარი ნატოს ყველა პროგრამაში სრული მასშტაბითაა ჩართული. როგორც კი უახლოეს არჩევნებში პრონატოური პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, ნატოს საკითხი მაშინვე შევა უმაღლეს რადაში!

**— ბევრი ექსპერტი რუსეთის მიერ ე.წ. ფერადი რევოლუციების დისკრედიტაციისა და მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის აღდგენის მცდელობაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ ამ კონტექსტში უკრაინის შემდეგ მის სამიზნედ ყირგიზეთი იქცა. იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას?**

— ჩემი აზრით, თავად რუსეთს აქვს მის შიგნით „ფერადი რევოლუციების“ შიში. სურვილის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია, რუსეთის ფედერაციის ნაციონალურ რესპუბლიკებს „პორას“ და „კმარას“ ანალოგების გამოყენებით საზოგადოებრივი ბრძოლის მეთოდები შევასწავლოთ, რათა კრემლის მხრიდან მეზობლებთან ურთიერთობებში საკუთარი ფორმატის თავსმოხვევის მცდელობები შევაჩეროთ.

**— პრეზიდენტ იანუკოვიჩის აზრით, „გოლოდომორი“ არა უკრაინელი ხალხის გენოციდი, არამედ სსრკ-ის სხვა ხალხებისა და რუსეთის საერთო ტრაგედია იყო. როგორ შეიძლება, შეფასდეს ასეთი პოზიცია?**

— იანუკოვიჩის მხრიდან მსგავსი განცხადება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთში „კრიზის“ მოპოვების მიზნით გაკეთდა. „რეგიონალების“ უმრავლესობისთვის ჰუმანიტარული პოლიტიკა უბრალოდ არ არსებობს, რისი მიზეზიც მათ საბაზისო რეგიონებში კადრების მუდმივი ცვლაა. სწორედ ჰუმანიტარულ პოლიტიკაში დაკარგავენ ისინი არა მარტო ამომრჩეველს, არამედ სერიოზულ ფინანსებს. თანამედროვე სპეციალისტის აღზრდა ჰუმანიტარული შემადგენლის გარეშე შეუძლებელია, ამიტომაც უკვე უახლოეს წლებში „რეგიონების“ პარტიის „კანონიკურ“ ტერიტორიებზე თანამედროვე ეკონომიკის წარმოებისთვის გამოსადეგი კადრების უკმარისობა იჩენს თავს.

**— აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში იანუკოვიჩის განცხადებები საქართველოში სხვადასხვაგვარად შეფასდა. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია, უკრაინამ საქართველოს კონფლიქტური რეგიონები აღიაროს?**

— ვფიქრობ, უახლოეს ხანებში ამას არ უნდა ველოდოთ, რადგან პარტია „რეგიონების“ მომხრე ოლიგარქების ბაზარი ევროკავშირშია, უკრაინის ხელისუფლების მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით კი ოლიგარქები ამ ბაზრის დაკარგვას რისკავენ.

**— და ბოლოს, როგორ შეიძლება, განვითარდეს, თქვენი პროგნოზით, უკრაინის ახალი ხელისუფლების პირობებში ქართულ-უკრაინული ურთიერთობები?**

— განურჩევლად იმისა, ვინ არის უკრაინის ხელისუფლებაში, ქვეყანაში ძალიან ძლიერი პროქართული ლობი არსებობს და ნებისმიერი მმართველის პირობებში უკრაინაში საქართველოს მეგობარი მოიძებნება.

**ლევან ჭითანავა**

ინფორმაცია

## გამსახურდია შიმშილობას აგრძელებს, გოგიჩაიშვილი თავს მხნედ გრძნობს

**მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერმა ეკა ბესელიამ საპყრობილეებში ცოტნე გამსახურდია და ლევან გოგიჩაიშვილი მოინახულა. როგორც ბესელიამ განაცხადა, პატიმრების მოსანახულებლად იმყოფებოდა.**

**— ცოტნე გამსახურდია შეშფოთებულია, რადგან როგორც მითხრა, 6 მაისიდან მოყოლებული, ყოველ ღამით, პატიმრების არაადამიანური ყვირილის და წამების ხმები ესმის, რომლებიც დახმარებას ითხოვენ. მან არ იცის, ვინ არიან ეს მსჯავრდებულები, მაგრამ ამ კუთხით დახმარებას ითხოვს.**



**იმედია, სასჯელაღსრულების სამინისტრო დაინტერესდება იმ საპყრობილეში არსებული მდგომარეობით, რომელშიც პატიმრებს არაადამიანურად ექცევიან, — განაცხადა ბესელიამ.**

**მისივე განმარტებით, მეორე თხოვნა, რაც მასთან ცოტნე გამსახურდიას ჰქონდა სამეურვეო საბჭოს შექმნას გულისხმობს, რომელიც პატიმრების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.**

**— მე მას ვუთხარი, რომ ასეთი საბჭოს შექმნა ჩვენც შეგვიძლია, რადგან ჩემი მოძრაობა, სწორედ პატიმრების დაცვის საკითხზე მუშაობს. აქედან გამომდინარე, ამ კვირაში ალბათ, შესაძლებელი იქნება ცოტნე გამსახურდიას ამ სურვილის შესრულება, — განმარტა ბესელიამ, რომლის თქმითაც, გამსახურდია შიმშილობას აგრძელებს.**

**რაც შეეხება ოპოზიციის აქტივისტ ლევან გოგიჩაიშვილს, ბესელიას განცხადებით, ის თავს მხნედ გრძნობს და მას არაადამიანურ პირობებში ყოფნა არ უწევს.**

**— ერთადერთი, რაც გოგიჩაიშვილმა დამაბარა იმის თქმაა, რომ ის არის მიხეილ სააკაშვილის პირადი ტყვე და პოლიტიკური პატიმარი. აქედან გამომდინარე, ის საკუთარი საქმის გადახედვას ითხოვს, — დასძინა ბესელიამ.**

**შეგახსენებთ, რომ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ სასჯელაღსრულების სისტემაში მონიტორინგს ახორციელებს, რის ფარგლებშიც პატიმრებსაც ხვდება. ბესელიას განცხადებით, მონიტორინგის დასრულების შემდეგ ყველა შესაბამისი რეკომენდაცია და პრეტენზია ხათუნა კალმახელიძის უწყებას გადაეგზავნება, თავად მისი მოძრაობა კი ციხეებში არსებულ ვითარებასა და მსჯავრდებულთა მდგომარეობაზე დასკვნას დადებს.**

## „საზღვრის უკანონოდ“ დარღვევისთვის 161 კაცია დაპატიმრებული

**2009 წლის აპრილიდან დღემდე ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის გადაკვეთისთვის 161 ადამიანია დაკავებული.**

**ამის შესახებ საოკუპაციო ძალების საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსმა ალექსანდრე მურზინმა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის ედუარდ კოკოითის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრების უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.**

**მისი თქმით, რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიიდან ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე 161 ადამიანი დააკავა.**



**მურზინმა აქვე აღნიშნა, რომ აუცილებელია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ ე.წ. საზღვრის დაცვის შესახებ ახალი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი მიიღოს.**

**შეგახსენებთ, რომ ე.წ. საზღვრის დაცვის უსაფრთხოების საკითხებზე შეხვედრაში რუსეთის ფედერაციის საზღვრის დაცვის სამსახურის, ასევე სეპარატისტების ე.წ. ძალოვანი უწყების და ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელები იღებდნენ მონაწილეობას.**

ჯი-ეიჩ-ენი

### მეწარმის ტკივილი

**რა წყალზეა საუბარი ან რატომ გვიკიდია ცეცხლი, ამას ქვემოთ გაიგებს მკითხველი. მანამდე კი, ალბათ, ურიგო არ იქნება, იმავე მკითხველს ორიოდე სიტყვით გავაცნოთ თვალთახედვა და ტკივილი ერთი ჩვეულებრივი ქალაქელი მეწარმისა, რომელსაც თბილისის ძველ უბანში (ავლაბარში) მომცრო პურის საცხობი აქვს ჩადგმული და თვიდან თვემდე ოჯახს გაჭირვებით არჩენს. მისი სავიზიტო ბარათია — თომა სუჯაძე, გამოცდილი ხაბაზი, უპარტიო, მაგრამ ქვეყნის ჭირ-ვარამის ნიადაგ მოზიარე და გულშემატკივარი.**

# შემირცხვენია ასეთი კანონები!



სახალხო საქმეში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება, რაც პრეზიდენტის ინიციატივით ხორციელდება. მცირე გადაცდომისგან არავინ არის დაზღვეული და თუ ამისთვის მეწარმეს ჯარიმის სახით ათასები წაგლიჯე, როგორღა იმუშაოს ან სხვა როგორ დაასაქმოს? არ შეიძლება, საგადასახადოს ხელმძღვანელი სკამის შენარჩუნების მიზნით ქვეყანას ატყავებდეს და მეწარმეებს ტერორს უწყობდეს. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ქურდი გამყვლეფავს თუ ჩინოვნიკის

**— თბილისის მერი, ამჟერად უკვე მერობის კანდიდატი, გიგი უგულავა ხაბაზობაში რომ დასპეციალდა, ეს არაფერში შეგეშველებათ?**

— კი, როგორ არა (იცინის/, ძირძველ ხაბაზებს კონკურენციას გაგვიწევს და ქალაქში პური გაიაფდება! არ მიყვარს ასეთი თითლიბაზობა, მით უფრო იმ კაცისგან, რომელიც დედაქალაქის მერობისთვის ემზადება. პურს უმაგისოდაც მშვენივრად გამოვაცხობთ, თუ მაინც და მაინც ჩვენთვის ხელის შეშველება უნდა, კეთილი ინებოს

## წყალში ვდგავართ და ცეცხლი გვიკიდია

— ბატონო თომა, — ვეუბნები, — ამ ორიოდე დღის წინათ ქვეყნის პრემიერმა ნიკა გილაურმა სასიხარულო ამბავი გვამცნო. როგორც მან განაცხადა, საქართველომ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დააღწია თავი გლობალურ კრიზისს და მზარდი, აჩქარებული ტემპით ავითარებს ეკონომიკას. ეს დაეტყო კიდეც საბიუჯეტო შემოსავლებს, რომელიც ყოველდღიურად მატულობს, კომერციული ბანკების სადეპოზიტო და საკრედიტო პორტფელს, მომსახურებისა და ყოფაცხოვრების სხვა სფეროებსო.

— კი, ტელევიზიით მეც მივისმინე, საბიუჯეტო შემოსავლებმა იმატაო, მაგრამ როცა ამას გვახარებენ, რატომ იმას აღარ ამბობენ, რა გზებითა და საშუალებებით იმატა? რა თქმა უნდა, თუ ერთიანად დაატერორებენ ქვეყნის ბიზნესს, წარმოებაში მომუშავე დიდსა და პატარას, ნამდვილად იმატებს შემოსავლები, მაგრამ რის ხარჯზე, ამას აღარ ფიქრობენ? შემირცხვენია ისეთი საგადასახადო კანონები და ნორმატივები, რომლებიც მეწარმეს მუშაობის, საქმის კეთების რწმენას, ელემენტარულ კონსტიტუციურ უფლებასა და განწყობას უსპობს.

**— გეთანხმებით, ამ მხრივ მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა, მაგრამ შექმნილ რეალობას თქვენ კიდევ უფრო ხომ არ ამძიმებთ?**

— ეჰ (ამოიოხრა/, მაგათ საქციელს თუ კიდევ დამძიმება უნდა(!/. ჩემი თვალით რომ არ მენახა ქალაქის საგადასახადოში მტირალი ქალი, რომელიც ორი ბოთლი ლიმონათისთვის 3 ათასი ლარით დააჯარიმეს, არ დავიჯერებდი. არც იმას, რომ დისტრიბუტორს სამ ცალ გამოცვლილ პურზე 5 ათასი ლარი დააყრევინეს, ხოლო ახალგაზრდა ქალს ერთ ცალ „ჭუვაჩკაში“ — 1500 ლარი. არ ივარგებს, ბატონებო, საგადასახადო კოდექსი ქურქში გამოწყობილი საგადასახადოელი?

**— მყვლეფავები მართლაც მოეძალნენ ქვეყანას, მაგრამ ხალხი არც მეპურეებს ემადლიერება. ყველა ხედავს და გრძნობს, პური ჩვენი არსობისა მომხმარებლის ხელში შაგრენის ტყავივით რომ ილევა, ფასი კი მოკლების მაგივრად ემატება. ამას რით ახსნით?**

— იმ გაუსაძლისი პირობებით, რომელშიც ხაბაზებს გვიხდება მუშაობა. ძალიანაც გვინდა, პური გავაიაფოთ, მაგრამ ამის გასაკეთებლად თავს ზევით ძალა არა გვყოფნის, რადგან, როგორც ვთქვი, ერთი მხრივ, ხელისუფლება გვყვლეფავს დრაკონული საგადასახადო კოდექსის მეშვეობით, ხოლო, მეორე მხრივ — ნედლეულისა და საწვავის პერმანენტულად მზარდი ფასები. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ასეთი ფასები ჩვენში ხელოვნურად არის შექმნილი.

**— როგორ თუ ხელოვნურად?**

— აი ასე. ბოლო პერიოდში, მაგალითად, ჩვენში შეიზღუდა ფქვილის შემოტანა, რასაც საბაბად დაედო ადგილობრივ მეწარმეთა ხელშეწყობა (იმპორტული ხორბალი ადგილზე მუშავდება/. ასეთი პოლიტიკა ერთი შეხედვით, გამართლებულია — დასაქმდნენ ფქვილის მწარმოებლები, მაგრამ სამაგიეროდ დაიჩაგრნენ მცხობელები, რომელთაც არჩევანის საშუალება მოესპოთ. აბა გავიხედოთ მეზობელ ქვეყნებში — რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, სადაც დამზადებულ ფქვილთან შედარებით, აქაური ფასი გაცილებით მაღალია. ზუსტად ასეთივე სხვაობაა ზეთის, მარილის, შაქრის ფასებში, რომ აღარაფერი ვთქვათ დენის, გაზისა და წყლის არნახულად გაზრდილ ტარიფებზე. აბა, თუ ბიჭი ხარ, ასეთ პირობებში მიდი და შეამცირე პურის ფასი. შეამცირებ და თავად დარჩები მშიერი და გაკოტრებული!

და მეწარმეებს, მერად არჩევის შემთხვევაში, ნორმალური სამუშაო პირობების შექმნაში მოგვეხმაროს. ამ მხრივ მერობის მეორე კანდიდატი გია ჭანტურია უფრო რეალურ საქმეს გვპირდება, მაგრამ ვნახოთ ამ არჩევნებიდან რა გამოვა.

**— გეიმედებათ?**

— რა გითხრათ, ფაქტი ის არის, რომ ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ, რომელიც ქვეყნის აყვავებას გვპირდებოდა, დანაპირები ქვეყნის დაქცევით შეასრულა. ვაი სირცხვილო, ნიორსა და ხახვს, თუნდაც კიტრსა და პამიდორს უცხოეთიდან თვითმფრინავით რომ შემოიტან, თავი სად გამოგვეყოფა? ამას წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისაქციელში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას მორიგი ტრაბახით რომ გული იჯერა, ბოლოს ელექტროენერგიის ტარიფითაც დაინტერესდა, ენერგეტიკის მინისტრს რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით საქართველოში ტარიფის სიძვირე რომ გაემართლებინა, მიზეზად ის მოიდო, იმ ქვეყნებში ნავთობი და ატომური ენერგია აქვთო. მინისტრ ხეთაგურს რატომღაც დაავიწყდა, რომ საქართველოს იმავე ენერგიის მისაღებად უთვალავი წყლის რესურსი გააჩნია. ეს ხელისუფლება თუ ქმედითუნარიანია, ასეთი შესაძლებლობის მქონე ქვეყანაში მეწარმეობას ენერგოტარიფების სიძვირე რატომ უნდა ახრჩობდეს? სწორედ ამაზეა ნათქვამი: წყალში ვდგავართ და ცეცხლი გვიკიდიაო.

ბატონ თომა სუჯაძეს რატომღაც გამორჩა ეთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც სამამულო წარმოების ელექტროენერგიას საკუთარ მეწარმეებს მამასისხლად აძლევს, თურმე იმავე ენერგიას თურქეთში გროშებად ჰყიდის. ეს მეწარმეს არ უთქვამს, მაგრამ ამის თაობაზე ხალხი უკვე ღიად ლაპარაკობს.

**ოთარ ხუციშვილი**

### კრეტინიზმი ეკრანიდან

# რატომ ითხუპნებიან მშობლები...

**შემთხვევით ჩემმა შვილიშვილმა კვირა დილას სატელევიზიო არხი „იმედი“ ჩართო და „მხიარული ოჯახის“ გადაცემა ვიხილეთ.**

**გადაცემა რამდენად „მხიარული“ იყო, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ სიმხიარულე ბავშვების მშობლების სახეების კრემით მოთხუპნვაში მდგომარეობს, ეს არა მარტო გადაცემის შემქმნელების დაბალ ინტელექტზე, არამედ გადაცემაში მონაწილე მშობლების უბადრუკ ინტელექტზეც მეტყველებს.**



რა არი ეს? პაპუასების რიტუალების გადმოტანის მცდელობა „განვითარებადი ქვეყნის“ ზინადრებში თუ იმისი ხაზგასმა, რომ ქართველთა ინტელექტი იმდენად დაეცა, რომ უკვე პაპუასების დონეზე დავედით და ჩვენი იუმორი კრემით გათხუპნვისა და წყლით გაწუწვის დონეზე დავიდა?

თუ ვინმე მაყურებელს ამ გათხუპნვის რიტუალზე ეცინება, თვით ამ დაცინვის ობიექტებს რა ჭკუა მისცა ღმერთმა, რომ ეს სასაცილო ჰგონიათ?

ამაზრზენია არა იმდენად ის, რომ ზოგიერთ უბირ, გაუნათლებელ ქართველს ეს იუმორი ჰგონია, არამედ ის, რომ ეს „სამხიარულო გადაცემა“ ვიღაცას მოსწონს.

ეს გადაცემა ზნეობის, მორალის დაცემის ნათელი მაგალითია. ამის შემდეგ „იუმორი“ იქნებ მშობლების სახალხოდ გაშიშვლებაში გადავიდეს?

ნუთუ ბავშვების „გამხიარულება“ მათი მშობლების ასეთი დამცირებით უნდა ხდებოდეს? ეს არის თანამედროვე ბავშვის აღზრდა თუ ისე დავეცით, რომ უკვე ბანანისა და პაპუასების ქვეყანა გავხდით?

**მერაბ ჯიბლაძე**
**„თეთრები“**

### ინფორმაცია



# გაიხსნა წიგნის ფესტივალი



**გუშინ დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა თბილისის წიგნის XII საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ოთხ დღეს გასტანს.**

**ფესტივალში ქართული გამომცემლობების გარდა, მონაწილეობენ უცხოელი გამომცემლობებიც.**

**აქ წარმოდგენილია სხვადასხვა სახის უამრავი ლიტერატურა.**

**ასე რომ წიგნის მოყვარულთ (რომლებიც, იმედია, კიდევ დარჩნენ საქართველოში/ აქვთ ფართო არჩევნის საშუალება.**

**მაშ, აირჩიეთ და შეიძინეთ თქვენთვის სასურველი წიგნი!**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**


## განცხადება

დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ, რომ დაწყებულია შპს „იმედი 2003“-ის ლიკვიდაცია.

პრეტენზიებით შეიძლება მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი ზვიად გამსახურდიას ქ. №7/1 (ყოფილი რუსთაველის გამზირი №143/1/.

საკონტაქტო პირი — დირექტორი ნუგზარ ვაჩიბერაძე
მობ. 855 55-40-99. 07.05.2010 წ.

ბიუჯეტის მონიტორინგი

# საბიუჯეტო „პიარ-სცენის“ შუქი და ჩრდილი

**ორი წლის წინათ შექმნილმა ეკონომიკის კვლევის ცენტრმა, რომლის დაფუძნების მიზანია კვლევითი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ხელშეწყობა, ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით პროექტზე „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა მონიტორინგის გზით“ ცხრათვიანი მუშაობა დაასრულა და ანალიტიკური კვლევის შედეგებით საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგა.**

ცენტრის კვლევის სფეროებიდან და ძირითადი ორიენტირებიდან გამომდინარე, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო ფინანსები, ევროპულ ბაზრებთან ინტეგრაცია, საინვესტიციო პოლიტიკა, ბიზნესგარემო, ეკონომიკური უსაფრთხოება, ასევე ეკონომიკური პრობლემების კომპლექსური შესწავლა, პროგნოზირების მეთოდების გამოყენება, ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებისა და შესაბამისი ზღვრული მნიშვნელობების შესწავლა და სხვ., ცხადი იყო, რომ ნაშრომში, უმთავრესად, საზოგადოებრივი ფინანსების მართვის რაციონალურობისა და ხარჯვის ეფექტიანობის ზრდის საკითხები იქნებოდა წამოწეული და ეს ასეც მოხდა.

„ღია საზოგადოება — საქართველოს“ ოფისში კვლევის შედეგების წარდგენისას, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა, ეკონომიკის დოქტორმა დავით ნარმანიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული საკითხებით ეკონომიკის სპეციალისტების დაინტერესება თემის აქტუალობითაა განპირობებული, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯის გამჭვირვალობა, პროცესების მონიტორინგი, განუზომლად დიდი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი საკითხია. პროექტის კოორდინატორმა მარი ავალიშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ მუშაობის პროცესში ცენტრი მთელ რიგ სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობდა, ხოლო შედეგებმა საექსპერტო შეფასებებიც მიიღო.

ქვეყნის ბიუჯეტის მონიტორინგის განხილვისას, დავით ნარმანიამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ **ბოლო დროს, სამწუხაროდ, ჯერ არ ყოფილა ბიუჯეტი, რომელსაც წლის განმავლობაში სერიოზული ცვლილებები არ განეცადოს. მაგალითად, შარშანდელ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლის მოცულობა ორჯერ შემცირდა, ამის ძირითადი მიზეზი კი არასწორი მაკროეკონომიკური პროგნოზირება და ხელისუფლების გადაჭარბებული ოპტიმიზმი იყო.** შედეგად, საგადასახადო შემოსავლის გეგმა, ორჯერადი „კორექტირებისა“ თუ „სეკვესტრის“ შედეგად, 13,4 პროცენტით დაიკლო.

უნდა ითქვას, რომ შარშანდელი ბიუჯეტის მთელი რიგი საპროგნოზო მაჩვენებლის კლება მნიშვნელოვნად განაპირობა 2008 წელს საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიამ და გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური გარემო შეცვალა. 2009 წლის ბიუჯეტის შედგენა ძირითადად 2008 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გარკვეული მონახაზები ჯერ კიდევ 2006 წელს იყო ცნობილი. ამასთან დაკავშირებით, ცენტრის კვლევის შედეგებში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ **ქართული ეკონომიკური პოლიტიკის და, განსაკუთრებით, საბიუჯეტო სფეროს მოწყობის ერთ-ერთ სუსტ წერტილად სწორედ მაკროეკონომიკური პროგნოზირება რჩება.** 2008 წელს დონორი ქვეყნების ბრიუსელის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსთვის ომის შედეგების კომპენსაციისთვის გამოყოფილი სახსრები რომ არა, ეროვნული ეკონომიკა სულ მცირე 10 პროცენტით შემცირდებოდა. ამდენად, ცენტრის კვლევის შედეგების თანახმად, **ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ პროგნოზირების სრულყოფილი მექანიზმების არარსებობა, ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემო, 2009 წლის გამოცდილება და მსოფლიოში მდგომარეობის ანალიზი, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტიც შარშანდელის ბედს არ გაიზიარებს.**

არადა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა. საბიუჯეტო კანონმდებლობის თანახმად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მოცემულია ბოლო ცვლილებებით დაგეგმილი ფინანსური მაჩვენებლების შესრულება. აქედან გამომდინარე, პარლამენტში **ანგარიშის წარდგენისას წლის ბოლოს დაგეგმილი და ფაქტობრივად შესრულებულ ბიუჯეტს შორის სხვაობა თითქმის არ არის, ხოლო ზოგიერთი პარამეტრი კი სულაც გადაჭარბებითაა შესრულებული(?!).** ამდენად, რა გასაკვირია, რომ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებით ქვეყნის მთავრობამ თავი მოიწონა, ხოლო ის გარემოება, რომ სინამდვილეში შესრულდა ორჯერ შემცირებული და არა თავდაპირველად დაგეგმილი ბიუჯეტი, საზოგადოებრიობის „პიარ-სცენის“ რამპის სინათლეზე არ მოხვდა და ერთგვარად ჩრდილში მოექცა.

თავის დროზე დიდად გახმაურებულ ეგრეთ წოდებულ „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკაზე საუბრისას, ბატონმა დავით ნარმანიამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ **მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში სახელმწიფო ხარჯის შეკვეცას ნიშნავს.** ამასთან, 2009 წელს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებმა იგი განსხვავებული პრინციპებით განახორციელეს და, შესაბამისად, ასევე განსხვავებულია მათ მიერ ოპტიმიზებული ხარჯის მოცულობაც. ყველაფერთან ერთად, **სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმატიდან გამომდინარე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელმა საჯარო დაწესებულებამ რა სახის ხარჯი შეამცირა.** მთავარი კი, ჩვენი აზრით, მაინც ის არის, რომ, როგორც ცენტრის ანგარიშშია მითითებული, **„ძირითადი მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დასაქმებულთა რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის შემცირება 2009 წელს არ განხორციელებულა“.** მეტიც: ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებაში პროცესი, ასე ვთქვათ, „საპირისპირო მიმართულებით“ წარიმართა და ხარჯმა იმატა კიდეც. ასევე ანგარიშში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ **„ქამრების მოჭერის“ პოლიტიკის მთავარმა ინიციატორმა — საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს მთავრობამ შრომის ანაზღაურების მოცულობა არ შეამცირეს, მთავრობამ კი იგი გაზარდა კიდეც“.** მეტად საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ დღემდე ვერ მოხერხდა „ქამრების მოჭერის“ შედეგად დაზოგილი იმ 350 მილიონი ლარის ბედის დეტალური ანალიზის გაკეთება, ვინაიდან, **„როგორც ჩანს, ეს ციფრები ხელოვნურად არის მოგონილი და რეალური „ქამრების მოჭერა“ არ განხორციელებულა“** — ნათქვამია ანგარიშში.



ანგარიშის ერთ-ერთმა ავტორმა, ეკონომიკის მაგისტრმა **შოთა მურღულიამ** დამსწრეთა ყურადღება ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობებს მიაპყრო ყურადღება და, კერძოდ, აღნიშნა, რომ ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ზღუდავს თვითმმართველობის დამოუკიდებლობას, ხდება მათი ცენტრალიზაცია. ეს კი ეწინააღმდეგება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპის ქარტიით აღებულ ვალდებულებებს და ხელს უშლის ქვეყნის დამოუკიდებლად განვითარებას.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო ვალს, ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე იგი მკვეთრად გაიზარდა, რის შესახებ შემდგომ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაახლოებით ერთი თვის წინათ გამოქვეყნებულ მასალაში ჩვენი გაზეთი უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ შარშან დეკემბერში მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში მთელი რიგი სერიოზული ხარვეზია. კოდექსის პროექტზე მუშაობის პერიოდში ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის ექსპერტებმა შენიშვნებისა და მოსაზრებების 28 ბლოკი მოამზადეს, რომელთაგან გაიზიარეს მხოლოდ... ერთი წინადადება(!!).

პროექტის ანგარიშში ეს ხარვეზები კონკრეტულადაა დასახელებული. კერძოდ, ნათქვამია, რომ არ არის **განსაზღვრული დოკუმენტის მოქმედების ვადა, ასევე მითითებული არ არის უნდა მოიცავდეს თუ არა იგი გასული პერიოდის რაიმე სახეობის ანალიზს, სუსტია კავშირი ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის; გაურკვეველია დოკუმენტის ბედი, ანუ რადგან იგი არცერთი ინსტანციის მიერ არ მტკიცდება, მაშასადამე შესასრულებლად სავალდებულო არ არის, აქედან გამომდინარე კი მისი შეუსრულებლობა არ ისჯება.** ზემოთქმულიდან გამომდინარე კი შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ მხარჯავი დაწესებულებების უმეტესობა მათ უკიდურესად ზერელედ „იცავს“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფაში საკვანძო როლი უნდა შეასრულოს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა კონტროლმა. პრინციპული მნიშვნელობა აქვს გამჭვირვალობის ახალი ხედვის დამკვიდრებას, ამასთან, მნიშვნელოვან მოდერნიზებას საჭიროებს კონტროლის პალატის საქმიანობა, რომლის ძირითადი ფუნქცია საჯარო ფინანსების მართვის მონიტორინგი და ანალიზი უნდა გახდეს, — ესაა ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის პროექტის ანგარიშის ერთგვარი რეზიუმე.

შეხვედრის დასასრულს ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს ეკონომიკის სპეციალისტებმა, პარლამენტარებმა, ექსპერტებმა, მედიის წარმომადგენლებმა.

**ოთარ ტურაბელიძე**

საიუბილეო საღამო

# წკრიალა რუ... თიბისი გალერეაში

**თიბისი გალერეამ ფესტივალ „ქართული სულის“ ფარგლებში დიდი მგოსნის — აკაკი წერეთლის 170 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს უმასპინძლა, რომელსაც პროფესორი თამაზ ტყემალაძე უძღვებოდა.**

სტუმრებს ვასილ ამაშუკელის განახლებული დოკუმენტური ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ უჩვენეს. ფილმს ფონად გასდევს ახალი მუსიკალური პარტიტურა, მიხეილ მდინარაძის ავტორობით. უამრავ კადრში ცოცხლდება აკაკის პორტრეტი. პროექტის ავტორები არიან: კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე, კინომცოდნე მარინა კერესელიძე და სცენარის ავტორი ნინო ნატროშვილი. დისკი ავსტრიაშია აღდგენილი.

**„აკაკიზე მთელი საქართველო იყო შეყვარებული, მაგრამ მაინც ყოველთვის მარტოდ გრძნობდა თავს. იუმორი უყვარდა, ხშირად კი სევდა სჭარბობდა.**

**დიდხანს ვერ ვხვდებოდი მის გენიალობას, არადა, ბავშვობიდან ზეპირად ვიცოდი მისი პოეზია — ახლა ვრწმუნდები, რომ იგი ყოფილა ძალიან რთულად გასაგები. აკაკი ყოველთვის წერდა ტრფიალზე, რაც იყო ზღაპარი ქალსა და საქართველოს შორის. გეგონებოდათ ქალზე საუბრობსო, არადა საქართველოს უმღეროდა“,** — დასძინა პროექტის ორგანიზატორმა თამაზ ტყემალაძემ.



იაკობ გოგებაშვილი ასე ახასიათებდა აკაკი წერეთლის შემოქმედებას: ფშანებიდან გამოსულ წკრიალთა რუს ჰგავს. იქ ფსკერი მოოჭვილია ფერადი კენჭებით. შენ ერთი კენჭის ამოღება მოგინდება, რომ სამახსოვროდ წაილო სახლში, მაგრამ ხელს რომ ჩაყოფ შიგნით, აღმოჩნდება, რომ ფსკერს ვერ მისწვდები. რუ წკრიალა და სუფთაა, ამიტომაც გგონია, რომ ფსკერი ახლოს არისო. ლიტერატურის შესწავლა და გემოვნების გაუმჯობესებაა საჭირო აკაკის შემოქმედების ამოსახსნელადო...

მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა აღნიშნა, რომ ერი თავის ფესვებს უბრუნდება — ქართველებს ამ დიდებული მწერლის დიდი სიყვარული აქვთ. აკაკი ლექსს კი არ ქმნიდა, სიმღერას წერდა ლექსადო.

აკაკი წერეთლის ლექსები მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმაც წაიკითხეს.

აკაკი წერეთელი იყო დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მონაწილეობდა **„მამათა და შვილთა ბრძოლაში“,** განუზომელი წვლილი მიუძღვის **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** ჩამოყალიბებასა და მუშაობაში, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში. მან ყოველთვიური ჟურნალი **„აკაკის თვიური კრებული“** დააარსა. იყო სატირულ-იუმორისტული ჟურნალის — **„ხუმარას“** რედაქტორი. მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ერის სულიერი კულტურის აღორძინებაში.

**თინათინ ბორცვაძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# აშშ რუსეთის მეზობლებს სწირავს

**დაახლოებით თოთხმეტი თვის წინათ ამ გვერდებზე მე ვაფრთხილებდი იმ „დიდი გარიგების“ შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, რომელიც ობამას ადმინისტრაციას სურს დადოს თავისი „გადატვირთვის“ ფარგლებში. სტატიას ეწოდებოდა „გარიგება, თუმცა არა დიდი“**

მაგალითად, მე მაღელვებდა, რომ ადმინისტრაცია დაიწყებდა პრინციპის „რუსეთი უწინარეს ყოვლისა“ ფარგლებში მეზობლების საზიანოდ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი კიდევ უფრო უარესია: ახლა ისინი მისდევენ პრინციპს „რუსეთი და მხოლოდ რუსეთი“, ივიწყებენ და ბედის ანაბარად ტოვებენ რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს.

ამის ყველაზე აშკარა მაგალითი გამოჩნდა ამ კვირაში. თეთრმა სახლმა კონგრესს მეორედ გადასცა რუსეთთან ხელშეკრულების პროექტი ბირთვულ საკითხზე, მას კი პრეზიდენტმა ობამამ დაურთო ცნობა, რომელშიც აცხადებს, რომ სიტუაცია საქართველოში „ამიერიდან აღარ უნდა განვიხილოთ, როგორც დაბრკოლება გზაზე“ კონგრესის მიერ ამ შეთანხმების განხილვასთან დაკავშირებით. ბუშის ადმინისტრაციამ ამ დოკუმენტს, რომელსაც ეწოდებოდა „შეთანხმება-123“, ხელი მოაწერა ჯერ კიდევ 2008 წლის მაისში, მაგრამ იმავე წლის აგვისტოში რუსეთის საქართველოში შეჭრასთან დაკავშირებით უარი თქვა მასზე. რუსეთის ჯარები ამჯერად ახდენენ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას, აშკარად არღვევენ შეთანხმებას ქვეყნებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“. ორივე რეგიონში, რომლებსაც მოსკოვი აღიარებს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, მიმდინარეობს ბაზების მშენებლობა. სიტუაცია ძველებურად დაძაბულია და ნებისმიერ მომენტში შეიძლება კვლავ აფეთქდეს.

ერთია – ხელმეორედ გადასცე კონგრესს „შეთანხმება-123“, შენიშნო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა რუსეთ-საქართველოსთან დაკავშირებით. მაგრამ ამის ნაცვლად პირდაპირ „შუბლში“ გვახალეს, რომ



სიტუაცია საქართველოში უკვე აღარ არის დაბრკოლება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა განვითარების გზაზე, და ამით ადმინისტრაციამ, ფაქტობრივად, მიატოვა ქართველები ბედის ანაბარა, რუსეთს კი აუნთო „ მწვანე შუქი“ შემდგომი პროვოკაციებისთვის საზღვრისპირა რაიონებში.

ობამას ადმინისტრაციის დაინტერესება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების რეჟიმის რესტავრაციაში, რასაც რუსეთმა მხარი არ დაუჭირა 2007 წლის ბოლოს, იწვევს ანალოგიურ შეშფოთებას. მიუხედავად ყველა მცდელობისა, რასაც ბუშის ადმინისტრაცია ახორციელებდა, რათა დაერწმუნებინათ ნატოს მოკავშირეები და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების სხვა მონაწილეები – დაეკმაყოფილებინათ რუსეთის ინტერესები, მოსკოვმა უარი თქვა შეესრულებინა 1999 წელს სტამბოლში ნაკისრი ვალდებულება, გამოეყვანა ჯარები საქართველოს და მოლდოვის ტერიტორიებიდან. არც ერთ ამ ქვეყანას არ მიუცია თანხმობა რუსეთის ოკუპაციაზე იმათი ტერიტორიის ნაწილებზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, ყველაფერი კიდევ უარესი გახდა. რუსეთს ადრე ჰქონდა მხოლოდ ერთი გამოსაყვანად გამზადებული ბაზა – გუდაუთში, ახლა კი საქართველოს ტერიტორიაზე მას გაცილებით მეტი ჯარები ჰყავს და მეტი საბრძოლო იარაღი აქვს (მოლდოვიდანაც რუსეთის ჯარები, როგორც ჩანს, გამოსვლას არ აპირებენძ.

როგორც ობამა, ისე ამერიკის შეერთებული შტატების სხვა მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირები არაერთგზის აცხადებდნენ, რომ არ აღიარებენ რუსეთის უფლებებს – ჰქონდეს „გავლენის სფეროები“, მაგრამ მისი საქმიანობა (როგორც უსაქმურობაცძ უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე სიტყვები. არის აზრი, რომლის თანახმადაც ობამა შეხვდა და ურთიერთობა ჰქონდა თავის „მეგობართან და პარტნიორთან“ დიმიტრი მედვედევთან გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელთან. უკანასკნელად ეს მოხდა ამ ხუთშაბათს. ობამამ უნდა გამოიყენოს ეს მრავალრიცხოვანი შესაძლებლობანი, რათა მისცეს აშკარა სიგნალები: რუსეთის აგრესია მისი მეზობლების წინააღმდეგ და მათი ტერიტორიების ოკუპაცია მიუღებელია. ასევე არ უნდა დაიწყოს „ახალი მეგობრებისა და პარტნიორების“ ძებნა რეგიონის სხვა ქვეყნებში. იქაურ ზოგიერთ ლიდერთან შეიძლება არც ისე იოლი იყოს შეთანხმება, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ქვეყნები არ არიან იდეალური დემოკრატიის იდეებთან და ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ თვალსაზრისით არც მედვედევი და არც რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი არ არიან იდეალურები.

სტატიის ავტორი მიიწვიეს მარშალის ფონდში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად ტრანსატლანტიკურ საკითხებში, იგი ადრე იყო სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპისა და ევროაზიის საკითხებში ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციაში. სტატიაში ის თავის საკუთარ თვალსაზრისს გადმოსცემს.

washingtonpost.com

# „საქართველო ამაში სულელურად ჩაერთო“



**რუსეთი დიდ იმედებს ამყარებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ ქვეყნების ბირთვული თანამშრომლობის შეთანხმების რატიფიკაციაზე. ვიცე-პრემიერის სერგეი ივანოვის აზრით, რომელიც ამჟამად ვაშინგტონშია, ამ დოკუმენტისთვის ხელმოწერის გადადების გამო საქართველოსთან დაკავშირებით ორმა ქვეყანამ დაკარგა „ძალიან კარგი ბიზნესი“**

რუსეთის მთავრობის წარმომადგენელმა აგრეთვე განმარტა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არის ნაწყენი რუსეთზე ირანის გამო, რომლის წინააღმდეგაც შეიძლება შემოღებული იქნეს სანქციები. ამ ხელშეკრულების გარდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში რატიფიკაციისთვის შეგზავნილია არანაკლებად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კერძოდ კი შეთანხმება რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ ბირთვული ენერგეტიკის დარგში.

მოსკოვში მიაჩნიათ, რომ დოკუმენტისთვის ხელის მოწერა ორ ქვეყანას მისცემს დიდ შესაძლებლობას ამ სფეროში. „მე ამ შეთანხმების ადვოკატი ვარ და სამწუხაროა, რომ საქართველო ამაში სულელურად ჩაერთო, იმიტომ, რომ ამერიკელებმაც და ჩვენც დავკარგეთ ძალიან კარგი ბიზნესი. თუ ეს შეთანხმება გავა, იგი კარგ პერსპექტივებს უხსნის თანამშრომლობას ამ მაღალტექნოლოგიურ სფეროში“, – განაცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტად მყოფმა ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა.

დოკუმენტის ხელმოწერამ უნდა განამტკიცოს ორი სახელმწიფოს ურთიერთობა, რომელთა შორისაც უკვე დღეს „ახალმა ქარმა დაუბერა“. „ბევრ საკითხში ჩვენ კარგ ურთიერთგაგებას ვაღწევთ. არის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მისწრაფება – მიუდგეს საკითხს ახალი თვალსაზრისით“, აღნიშნავს იგი.

მაგალითად, მოსკოვმა და ვაშინგტონმა თითქმის სრულ შეთანხმებას მიაღწიეს, მიუხედავად სხვადასხვა მიდგომისა, ირანის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით.

ამავე დროს ვიცე-პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არის ნაწყენი რუსეთზე მის სამხედრო ტექნიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით ისლამურ რესპუბლიკასთან მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება არაფრით არ არის დაკავშირებული ბირთვულ საკითხთან. „ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია და არც გავაკეთებთ იმისთვის, რომ რამენაირად შევუწყოთ ხელი, თუნდაც ირიბულად, ირანის ბირთვულ ან რაკეტულ პროგრამებს და იქ აგრესიული და შეტევითი შეიარაღების სახეობათა მიწოდებას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ნებისმიერი იარაღის ნებისმიერი მიწოდება, დაწყებული ვაზნებით და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებით დამთავრებული, უნდა დავუმორჩილოთ სანქციურ მექანიზმებს“, აღნიშნა მან.

იგივე შეეხება რუსეთის მიერ ირანის ბუშერაში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს. „რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს მშვიდობიან ბირთვულ ენერგეტიკას, მაგატეს სრული კონტროლის ქვეშ, ბირთვულ გავრცელებასთან? არანაირი. ჩვენ ირანისადმი სრულიად სხვადასხვა მიდგომა გვაქვს იმიტომ, რომ ამერიკელებს საერთოდ არავითარი ინტერესი არ გააჩნიათ ირანში, სრული ნული – არც ვაჭრობა, არც ეკონომიკა, არც ენერგეტიკა, არაფერი“, – დარწმუნებულია ივანოვი.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთად არ გაუწევენ წინააღმდეგობას ირანის ხელისუფლების მცდელობას, შექმნას ბირთვული იარაღი. უფრო მეტიც, მთავრობის წევრის სიტყვებით, მას არ გაუკვირდება, თუ უშიშროების საბჭო უახლოეს პერიოდში მაინც მიიღებს ახალ რეზოლუციას ირანთან დაკავშირებით.

ირანის პრობლემატიკის გარდა თავისი ვიზიტის დროს ივანოვმა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა საკითხი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი ევროპული სისტემის შექმნის შესახებ.

მისი სიტყვებით, ეს „რთულ თემად“ რჩება, თუმცა დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ნაკლებად „დრამატული“ გახდა. „გაჩნდა იმაზე უფრო დიდი შესაძლებლობანი თანამშრომლობისთვის, ვიდრე ეს ადრე იყო, ვინაიდან ამერიკის მხარის აზრით, უფრო იოლი გახდა ჩვენი ვარაუდის გაგება ჩვენი სამხრეთული რადარების გამოყენების შესახებ“, – განმარტა მან.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ინიციატორების ლოგიკით, განაგრძო ივანოვმა, მან უნდა დაიცვას, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთი საზღვრები, ვინაიდან „საფრთხე არ მოდის არც ევროპიდან და არც რუსეთიდან“. „ამას ყველა აღიარებს და ეს ლოგიკურია, მაგრამ საჭიროა ეს ყოველივე დავუკავშიროთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ისეთ სისტემას, რაც გასაგებია ჩვენთვის, რაც აბსოლუტურად ტრანსპარანტულია ჩვენთვის. და მაშინ ჩვენც მზად ვიქნებით უფრო აქტიურად ჩავერთოთ მისი შექმნის პროცესში“, – დაუმატა მან.

სიცხადე ამ საკითხში, ვიცე-პრემიერის სიტყვებით, გამოჩნდება „სადღაც ამ წლის ბოლოს“.

ოლგა გრიცენკო

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ ხელი მოაწერა კანონს პრესის თავისუფლების შესახებ, რის შემდეგაც ჟურნალისტები გამოყარეს ოვალური კაბინეტიდან**

ახალი კანონი ავალდებულებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს უფრო დაწვრილებით შეადგინოს ყოველწლიური მოხსენება მსოფლიოში პრესის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ და გამოავლინოს ქვეყნები და მთავრობები, რომლებიც თრგუნავენ ამ თავისუფლებას. უმალვე, როგორც კი დამთავრდა კანონის ხელმოწერის პროცედურა, პრეზიდენტმა უარი განაცხადა ეპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებზე.

* * *



**რაკეტები SM-3, რომლების დაყენებასაც აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის საზღვრების მახლობლად, არაეფექტიანია**

პენტაგონი აცხადებს, რომ ამ რაკეტამ, რომელიც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალ სისტემაში გადასვლის ძირითადი საშუალება იქნება, სატესტო გამოცდებში დააზიანა მიზნების მხოლოდ 84 პროცენტი. ფიზიკოსი ჯორჯ ლუისი და პენტაგონის ყოფილი მეცნიერი კონსულტანტი თეოდორ პოსტოლი მიიჩნევენ, რომ ეფექტიანად დააზიანეს მიზნების მხოლოდ 10-20 პროცენტი.

* * *



**ქაბულში რუსეთის საელჩოს მახლობლად მოხდა ძლიერი აფეთქება: დაიღუპა 40-ზე მეტი კაცი**

თვითმკვლელმა ტერორისტმა ააფეთქა დანაღმული მანქანა. შეიარაღებული თავდასხმის მიზანი იყო ავღანეთში უშიშროების მხარდამჭერის საერთაშორისო ძალების ბადრაგი, კერძოდ კი ამერიკის დაჯავშნული მანქანები. ამ დროს, არსებული მონაცემებით, ყველა დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქეა.

* * *

**პოლიციამ შეწყვიტა საქმე რიგის მერის წინააღმდეგ, რომელიც დუმის სხდომაზე დედას იგინებოდა**

საქმის დაწყება არ შეიძლება, თუ მოვლენა არ ყოფილა ან მასში არ შეიმჩნეოდა ადმინისტრაციული დარღვევის ფაქტი, პოლიციას კი იმ პირებისგან, ვინც მონაწილეობას ღებულობდა სხდომაში, არ მიუღია საჩივარი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შესახებ. ადრე მილ უშაკოვმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში რიგის დუმის სხდომაზე უცენზურო გამონათქვამების გამოყენებისთვის.



პუბლიკაცია

# როგორ გადაურჩა კომპოზიტორი ია კარგარეთელი დაპატიმრებას

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პრესაში ბევრი დაიწერა 1920-30-იანი წლების რეპრესიების შესახებ, სადაც სისხლის სამართლის თითქმის ყველა საქმე დამძიმებული იყო გამომძიებლების მიერ, რომლებიც „შესაშური ერთგულებით“ ცდილობდნენ რეჟიმისთვის ლოიალობის დამტკიცებას.



მაგრამ რა არ ხდება, ამ მხრივ გამონაკლისია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება ცნობილ ქართველ კომპოზიტორს, ფოლკლორისტს, მომღერალსა (ტენორი) და საზოგადო მოღვაწეს ია კარგარეთელს.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ია კარგარეთელს გაზეთ „ტრიბუნაში“ (№594, 11 ოქტომბერი, 1923 წ.) გამოუქვეყნებია წერილი „სახელმწიფო გამომცემლობა და მისი საქმიანობა“, სადაც გაკრიტიკებულია გამომცემლობის საქმიანობა. ია კარგარეთელი აღნიშნავს, რომ გამომცემლობა გვერდს უვლის სამუსიკო დარგს და არ ბეჭდავს მუსიკის სახელმძღვანელოებს, მაშინ, როდესაც უამრავ ისეთ ბროშურას გამოსცემს, რომლებიც საწყობებში წლობით დევს და ნადგურდება. ნათქვამია, იმის მიუხედავად, რომ შესაბამის კომისიას მოეწონა მისი ნაშრომები, მაინც არა და არ მოხერხდა იმ ხელნაწერის დაბეჭდვა.

ია კარგარეთელს აინტერესებს, რატომ არ დგება რიგი ამ ხელნაწერების დაბეჭდვისა. – „აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიამპათია-ანტიპათიას: აქ არის კულტურული დარგის ნიადაგზე გარჯილობა და რას მიქვიან რომ ჩემი ფიზიონომია ან ამას ან იმას არ მოსწონს?“ კითხვის ნიშანს სვამს ია კარგარეთელი და წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ამიტომაც უიდეოთ, უზაროთ მიხლა-მოხლით მუშაობამ სხვა ერებს კუდში გამოგვაბა და გასწორებაზედ, დაწინაურებაზედ ფიქრიც კი გვეოცება და არ გვეხერხება. დავანებოთ უკუღმა ნაჯექმაჯექობას თავი, სახელმწიფო გამომცემლობამაც და მის მესვეურთაც თავისი არსებობა რითიმე უნდა გაამართლონ. დროა რამე შეიქმნას და გაკეთდეს, სხვა შემთხვევაში იძულებული ვიქნებით ვიფიქროთ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან დაწესებულებაში შეუქმნიათ თბილი ადგილი და წამოუსკუპებიათ თავიანთი ფავორიტები“.

ამ წერილის საფუძველზე ია კარგარეთელის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რადგან წერილში მოტანილი ფაქტები მიიღეს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკა.

საქმე გამოძიებისთვის გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს. აქ მნიშვნელოვანია ამ საქმის გამომძიებლის პოზიცია, რომელმაც შეძლო ისე წარმოეჩინა ეს წერილი, რომ მასში მხოლოდ კეთილი სურვილები დაენახა.

დადგენილებაში წერია:

დადგენილება

1924 წლის 14 მაისს მე აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა განვიხილე რა საქმე №703 მოქალაქე ია კარგარეთელის ბრალდების შესახებ, გაზეთ „ტრიბუნის“ №594-ში მოთავსებული წერილის გამო სახელმწიფო გამომცემლობის წინააღმდეგ, ვცანი: მოქალაქე ია კარგარეთელს გაზეთ „ტრიბუნის“ №594-ში მოუთავსებია წერილი სათაურით „სახელმწიფო გამომცემლობა და მისი საქმიანობა“. კარგარეთელი ეხება სახელმწიფო გამომცემლობას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს. სხვათა შორის, კარგარეთელი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ უყურადღებოდ დასტოვა ხელოვნების ერთი დარგი და არგამოუცია საჭირო სახელმძღვანელოები. კარგარეთელს, როგორც მუსიკის კარგ მცოდნეს წარუდგენია ხელთნაწერები მუსიკის სახელმძღვანელოდ დასაბეჭდად. სახელმწიფო გამომცემლობას კარგარეთელის ხელთნაწერები ვერ გამოუცია უსახსრობის გამო. სახელმწიფო გამომცემლობის ზოგიერთი წევრი დაპირებია კარგარეთელს, ხელთნაწერებს დაბიბეჭდავთო, მაგრამ ორი წლის განმავლობაში კარგარეთელის ხელთნაწერები დაუბეჭდავი ეყარა სახელმწიფო გამომცემლობაში. სახელმწიფო გამომცემლობის მიერ კარგარეთელის აბუჩად აგდებამ, უკანასკნელი აიძულა მოეთავსებინა წერილი გაზეთ „ტრიბუნაში“ სახელმწიფო გამომცემლობის წინააღმდეგ.

თუ ავიღებთ წერილის შინაარსს, დავინახავთ, რომ კარგარეთელი ნაწილობრივ მართალია, მიუხედავად იმისა, რომ წერილში არის ნათქვამი ისეთი სიტყვები, რომლებიც მას არ უნდა ეხმარა სახელმწიფო გამომცემლობის მიმართ, მაგრამ ეს კარგარეთელს იმ მიზნით არ ჩაუდენია, რომ სახელი გაეტეხა სახელმწიფო დაწესებულებისთვის ან შეურაცხყოფა მიეყენებინა სახელმწიფო გამომცემლობის რომელიმე წევრისთვის. კარგარეთელის მიერ წერილის დაწერა გამოწვეულია იმ მიზნით, რომ სახელმწიფო გამომცემლობას ყურადღება მიექცია სამუსიკო დარგისათვის და გამოეცა სახელმძღვანელოები, რაშიც სახელმწიფო გამომცემლობა მოიკოჭლებდა. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება პრესის საშუალებით ამხილოს ამა თუ იმ დაწესებულების ნაკლოვანებები, მიუთითოს დეფექტებზე და ეს არ იქნება არც ამ დაწესებულებაზე გალაშქრება, არც ცილისწამება და არც დაწესებულების სახელის გატეხა.

სწორედ ამ აზრით ხელმძღვანელობდა კარგარეთელი, როდესაც მან წერილი მოათავსა გაზეთ „ტრიბუნაში“.

წერილში ნაჩვენებია სახელმწიფო გამომცემლობის დეფექტები და ატარებს კრიტიკის ხასიათს, ასე რომ, იქ არ არის სახელმწიფო გამომცემლობის სახელის გატეხა. თუ სცნობს ამ ნაკლოვანებებს სახელმწიფო გამომცემლობა, უნდა გამოასწოროს, თუ არა და, პრესის საშუალებით პასუხი უნდა გასცეს კარგარეთელს და უნდა დაუმტკიცოს, რომ მას არა აქვს სწორი წარმოდგენა, რომ კარგარეთელი ცდება.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა მიხედვით მივედი იმ დასკვნამდე, რომ განთავისუფლდეს ია კარგარეთელი სისხლის სამართლის დევნიდან. მის შესახებ შემდგარი საქმე მოისპოს თანახმად სსსკ 203 მუხლისა, გოროტმოქმედების ნიშნების უქონლობის გამო.

დადგენილებას ხელს აწერს აღმოსავლეთ საქართველოს უფროსი გამომძიებელი ი. კუპრაშვილი.

ვფიქრობ, ამ დოკუმენტების გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

ელენე ცინარიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

გზად უკვდავებისკენ

# დარჩა სიტყვა – მუხრანული...



პოეტის უკანასკნელი ფოტო. 2010 წლის 17 მაისი. რუსთაველის თეატრის სცენა.

დემიკო ლოლაძის ფოტო

**მას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით, როდესაც ჟურნალ-გაზეთების რედაქციები გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში იყო განთავსებული და ბატონი მუხრანი „დილას“ მთავარი რედაქტორი ბრძანდებოდა. მოდიოდა იგი, იძლეოდა დარბაისლურ სალამს და მოთმინებით ელოდა ლიფტს, რომ მეხუთე სართულზე, რედაქციაში ასულიყო...**

ბედნიერება მქონდა, ხშირად შევხვედროდი პირადად, მე – კორესპონდენტი, ის – ფასდაუდებელი რესპონდენტი; მოგვიანებით, ვხვდებოდით ჭირისა და ლხინის სუფრასთანაც, მომსწრე ვარ მისი ომახიანი თამადობისა და ოქროპირობისა... ამაყი ვარ, რომ ერთი ათი წიგნი მაინც მაქვს მისგან ნაჩუქარი გულითადი წარწერით... ცხადია, ზეპირად ვიცი მისი ყველა ცნობილი ლექსი და ხშირად ვიმეორებ კიდეც... ბატონმა მუხრანმა პატივი დამდო და მიმიწვია საჩხერეში, როდესაც იქაურებმა დაბადების 80 წლისთავის საიუბილეო საღამო გაუმართეს საამაყო თანამემამულეს... საღამოს შემდეგ გარეთ სამახსოვრო სურათს იღებდა თავის მეგობარმწერლებთან. მე მოშორებით ვიდექი, შემამჩნია და ერთიანად გაბადრული სახით მეძახის: „მოდი, ვილია, შე, ძველო „კომუნისტო“ (თავის დროზე გაზეთ „კომუნისტში“ ჩემი მუშაობა იგულისხმა), გადავიღოთ სურათი!“

მე ვიყავი ბედნიერი და ამაყი... გავკადნიერდი და იმ დღეებში ლექსად შევბედე გულისთქმა (უფრო თავისი ლექსების მოტივზე) დიდ ქართველ პოეტსა და ერისკაცს:

**ეს რა ხანი გასულა – მეოთხმოცე თენდება**
**და ეგ გულიც – ქართული – ვეღარა ძგერს ვაჟურად,**
**თუმც არგვეთში მიმავალს, მაინც გაგახსენდება,**
**„გამარჯობა იზვარა!“**
**„გამარჯობა ლაშურა!“**

**ეჰ, რა გული გაგიძლებს ჩვენი ყოფის მაცქერალს,**
**გაგვიყიდეს მამული სოროსელმა ქოსებმა,**
**მაინც, ომახიანად, ლექსი – შენი – გვაძგერე,**
**გაგვამხნევე, რომ მუხა კვლავაც შეიმოსება!**

...ეს ერთი წლის წინათ იყო...

მოულოდნელად წავიდა ბატონი მუხრანი, მართლაც ვეღარ გაუძლო გულმა... კვლავაც შეგვახსენა თავი რუსთაველის სიბრძნემ: „ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინც არ მოელის წამისად“.

ვაგლახ!..

...წავიდა დიდი მეოცესაუკუნელი, თავის უახლოეს ადამიანებთან წავიდა, სახელოვან წინაპრებს მიეახლა მათი ნატეხი, ვალმოხდილი და მარად ხმალჩაუგებელი...

ფიზიკურად დაგვშორდა...

და იცოცხლებს მისი ლექსი – მუხრანული, სიტყვა – მუხრანული, მამულიშვილობა – მუხრანული... თაობები დაიზრდებიან მისი პოეზიით...

უკვდავებაც სხვა რაღაა?!

ვილენ მარდალეიშვილი

# ვითარცა ყაყაჩო – მუხრანის საფლავზე

**ზუსტად ხუთი თვის წინათ, 2009 წლის 17 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამო გაიმართა. ხალხით გადაჭედილი დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს ქართული ლექსის დიდ რეფორმატორს, ყველაზე ეროვნულ და ყველაზე გაბედულ პოეტს...**

– დიდ მადლობას კი შემოგწირავთ, მაგრამ... სიტყვის თქმას ისევ ლექსების წაკითხვა მირჩევნია, – თქვა ბოლოს მუხრანმა და ჩვეულებისამებრ დასჭექა: „ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან, ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა“... (სწორედ ამ შედევრით შემოვიდა 18 წლის მუხრან მაჭავარიანი ქართულ პოეზიაში).

დაახლოებით ათი ლექსი წაიკითხა ზეპირად. კითხულობდა საოცარი განცდით, მჭექარე ხმით, განუმეორებელი მჭევრმეტყველებით. უცებ თეატრის „ციდან“, თითქოს თოვლი ბარდნისო, ოქროსფერი ფურცლები აფარფატდნენ და პარტერისკენ დაეშვნენ... სახელდახელო „პროკლამაციაში“ ერთადერთი ლექსი – მუხრანის ხელნაწერი იყო:

**„სიტყვებს, –**
**წინაპართ მიერ გახედნილთ, –**
**დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ**
**(შობილთ კლარჯეთით,**
**ქართლით, კახეთით, –**
**ერთად შეკრიბნა რომელნიც საბამ), –**
**ველერსები, ვითარცა ყვავილთ...**
**სიცოცხლე მარტო იმიტომ მინდა,**
**რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით**
**ყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა...**

როგორც ყველამ, ლექსი მეც გულის ჯიბეში ჩავიდე და პირჯვარი გადავიწერე: ღმერთო, დიდხანს გვიცოცხლე ეს ეროვნული, ლეგენდა-კაცი, რომ ქართული სიტყვა მის საფლავზე რაც შეიძლება დიდი ხნის შემდეგ აყაყაჩოვდეს!..

...ჩვეული შემართებით მიესალმა 81 წლის მუხრან მაჭავარიანი 85 წლის ფრიდონ ხალვაშს 17 მაისს ისევ რუსთაველის თეატრში და აჭარელი მეგობრის პატივსაცემად თაბახის ორ ფურცელზე დაწერილი სიტყვა ჩვეული, გამაჟრჟოლებელი რიხით დაიწყო... მაყურებელმა ორჯერ ტაშით შეაწყვეტინა ისედაც მოკლე ჩანაწერი. მოულოდნელად მუხრანს მარჯვენა მუხლი ჩაეკეცა, უკან გადაქანდა და... ეს მთასავით კაცი მოცელილივით დაეცა...

ასე ტრაგიკულად, მაგრამ ლამაზად, ვაჟაკაცურად, ქართულ სიტყვასთან ჭიდილში, საქართველოს უპირველეს სცენაზე – რუსთაველის თეატრის სცენაზე მოკვდა დიდი პოეტი და მამულიშვილი, ჩვენი ხალხის უსაყვარლესი პოეტი...

თუმცაღა, მუხრან მაჭავარიანის **სიკვდილი** ხომ ყოვლად წარმოუდგენელია, რადგანაც წინაპართ მიერ (აწ უკვე მუხრანის მიერ) გახედნილი სიტყვები (მერედა, რამდენი!) ერის მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება.

ჭეშმარიტად, ქართველი კაცისთვის სიტყვა არის ღმერთი!

სპარტაკ ქოზულია

ჭიდაობა

# მედლებიც მოიხვეჭეს, გამოცდილებაც გაიმდიდრეს

**საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეები ევროპის პირველობისთვის ემზადებიან. საშეჯიბრო გამოცდილების გამდიდრების მიზნით ჩვენმა ფალავნებმა ანკარის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს და 5 ოქროს, 1 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.**

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნუგზარ სხირელის შეგირდებმა თავისუფალ ჭიდაობაში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55 კგძ, დავით ხუციშვილი (74ძ, დავით მარსაგიშვილი (84ძ, თორნიკე ხიდეშელი (96ძ და ლევან ბერიანიძე (120ძ. ბერიანიძემ ფინალში თანაგუნდელი გიორგი საკანდელიძე დაამარცხა, რომელსაც „ვერცხლი“ ერგო. მესამე ადგილები ვასილ მამულაშვილმა (60ძ და მამუკა კორძაიამ (84ძ დაიკავეს.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ანგარიშზე 5 ბრინჯაოს მედალია. ეს ჯილდოები თორნიკე მახარაძეს (50ძ, უშანგი ჩიტიაშვილს (74ძ, დავით ჩაკვეტაძეს, რევაზ ნადარეიშვილს (ორივე — 84ძ და ბექა ჩოფლიანს (96ძ ხვდათ.



ანკარის ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები, აგრეთვე მათი თანაგუნდელები 5-7 ივნისს თბილისში გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდ პრიზზე“ მოსინჯავენ ძალებს და ევროპის პირველობაზე წამსვლელთა ვინაობაც მერე გაირკვევა.

**სურათზე: გიორგი საკანდელიძე (ცენტრშიძ დაჯილდოებისას.**

წყალბურთი

# „ივერიამ“ „ლიგამუსს“ აჯობა

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ რეკონსტრუირებულმა საცურაო აუზმა 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობდა.** ქვეჯგუფებში გამართული წრიული შეხვედრებისშემდეგ ნახევარფინალში „ივერია-1“-მა „ლიგამუსი — 2“ დაამარცხა 21:1, ხოლო „ლიგამუს-1“-მა „თბილისს“ მოუგო 17:6. ფინალში „ივერია-1“-მა (თემურ ლომიძე, კონსტანტინე ნადირაძე, ცოტნე ინწკირველი, ლუკა კახეთელიძე, დავით რევია, ანდრო ბითაძე, სანდრო ყაზახიშვილი, გიო ჩანტლაძე, გუკა გელაძე, ხვიჩა ჯახაია, გიორგი ზაქარეიშვილი, საბა ჯმუხაძე, მთავარი მწვრთნელი — ბორის მეგედი, მწვრთნელები — ნოე კინწურაშვილი და ნატალია ნადირაძეძ „ლიგამუს—1“-ს სძლია 11:5 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილი „ლიგამუს-2“-ს ხვდა.



სპორტული ცეკვები

# „კავკასიის თასი – 2010“

**შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში (ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძეძ „კავკასიის თასის“ გათამაშება. შეჯიბრება წლეულს მეთხუთმეტედ გაიმართა შვიდი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გუნდური პირველობა კვლავ მასპინძლებმა შეინარჩუნეს. თავი ისახელეს ახალგაზრდებმაც, რომლებმაც თანატოლებთან პაექრობაში კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავეს: 1. სერგო წივწივაძე — ლიკა ცნობილაძე, 2. ოთარ ფოლადაშვილი — ანა კირაკოსიანი, 3. ხვიჩა ალადაშვილი — თეონა ქართველიშვილი.**

ევროპულ და ლათინურამერიკულ ცეკვებში ყველა საპრიზო ადგილი სტუმრებს ხვდათ.



**ევროპული ცეკვები.** 1. არტიომ შაპილოვი — იულია მოვშინა (მოსკოვიძ, 2. ვიაჩესლავ ჩიჟიკი — ოლგა ჩეჩეტი (მინსკიძ, 3. ვიტალი დიდენკო — მარინა ზიკოვა (მოსკოვიძ.

**ლათინურამერიკული ცეკვები.** 1. არტიომ სემერენკო — სვეტლანა სოვეტჩენკო (რუსეთიძ, 2. ანტონ ალდაევი — ნატალია პოლიხინა (რუსეთიძ, 3. მაქსიმ ლიტიუშკინი — კატერინა იოვიკი (უკრაინაძ.

თაობა

# გიორგი ბაქანიძის მემორიალზე

**სახელოვანი ქართველი მსაჯის, „ოქროს სასტვენის“ მფლობელის, მოგვიანებით სფფ-ს თავკაცისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის სათამაშო სახეობათა კათედრის გამგის გიორგი ბაქანიძის მემორიალს დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლამ (დირექტორი იოსებ ხუციშვილი, სპორტის და ესთეტიკური სწავლების ხელმძღვანელი ვახტანგ ბაქანიძეძ უმასპინძლა.**





ტრადიციისამებრ, აღნიშნული სკოლის მესვეურები არამარტო ვაკის საჯარო, არამედ სხვა უბნების კერძო სასწავლებლების მოსწავლეთა ჩაბმასაც ცდილობენ თანატოლთა ტურნირებში და წარმატებითაც. ასე მოხდა ამჯერადაც — სარბიელზე ორგანიზატორებთან ერთად 55-ე, 56-ე, 54-ე, 165-ე, 51-ე, 47-ე, 43-ე, 102-ე საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან ერთად კერძო სასწავლო დაწესებულებათა — ლიცეუმ „მოძღვარის“ (დირექტორი ხათუნა კერესელიძეძ, ფრანგულ კოლეჯ „სენტ ეგზიუპერისა“ (დირექტორი იზა ჯინჯიხაძე) და უკრაინული სკოლის (დირექტორი ანა მატვეევაძ ალსაზრდელები მონაწილეობდნენ.

განსაკუთრებულად უნდა მოვიხსენიოთ ვერის ნაკრები (მწვრთნელი ოთარ ნათაძეძ, რომელიც რეგულარულად ცალკე გუნდადასპარეზობს დასახელებულ შეჯიბრებებში.

დავძენთ, რომ მაისშივე იქვე მოეწყობა გივი ნოდიასა და სლავა მეტრეველის ხსოვნის ტურნირები.

ახლა კი გაგაცნობთ გიორგი ბაქანიძის მემორიალის გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს:

**უფროსები (1999-2000 წლებში დაბადებულნიძ.** 57-ე საჯარო სკოლა — „სენტ ეგზიუპერი“ 8:3. III პრიზიორი უკრაინული სკოლა გახდა.

უმცროსები (2001-2002 წლებში დაბადებულნიძ. 57-ე საჯარო სკოლა — „სენტ ეგზიუპერი“ 6:3. III პრიზიორი გახდა ლიცეუმი „მოძღვარი“.

გიორგი ბაქანიძის ვაჟმა კოკა ბაქანიძემ და შვილიშვილმა მარიამ ნაცვლიშვილმა სამახსოვრო პრიზები გადასცეს გამორჩეულ ფეხბურთელებს დათო ლორთქიფანიძეს, ილია ისაკაძეს, მიხეილ თაბაგარს, სანდრო ჩავლეიშვილს, თემურ და ჯიმშერ გოგლიძეებს, ნიკა ძებნიაურს, ზურაბ ხეთაგურს, აკაკი კოკაიას, გიორგი ჭრელაშვილს, ანდრო ადეიშვილს, გურამ გელოვანს, ლუკა ხარძიანს, ლუკა ღირდალაძესა და არტემ მარტიროსიანს.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ინტერნეტიდან

## ვერ მოხვედრილნი და დავიწყებულნი?!

**ურუგვაელმა ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს იმ ვარსკლავ-ფეხბურთელთა ნაკრების შედგენა, რომლებიც ვერ მოხვდნენ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე. მასში შევიდნენ ჯანმრთელი ფეხბურთელები, რომლებსაც თეორიულად შეეძლოთ სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე თავიანთი გუნდების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ ამ ვირტუალურ ნაკრებში ფეხბურთელთა მიმწოდებლები არიან დიეგო მარადონა და დუნგა.**

**აი, როგორ გამოიყურება ეს ნაკრები:** ხუან პაბლო კარისო (არგენტინაძ, ჰავიერ ძანეტი (არგენტინაძ, ალესანდრო ნესტა (იტალიაძ, მაქველი (ბრაზილიაძ, პატრიკ ვიერა (საფრანგეთიძ, ესტებან კამბიასო (არგენტინაძ, ფრანჩესკო ტოტი (იტალიაძ, რონალდინიუ (ბრაზილიაძ, ალეშანდრე პატუ (ბრაზილიაძ, ანდრიანუ (ბრაზილიაძ, კარიმ ბენზემა (საფრანგეთიძ.

სამწუხაროდ, უკვე ტრავმის გამო მათ დაემატა გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი.




## გლადიატორები

**ორი გლადიატორი (ერთი — კინოს სამყაროდან, მეორე — ფეხბურთისძ შეხვდა ერთმანეთს, მაგრამ ძალების მოსასინჯად კი არა. ჰოლივუდის ვარსკვლავმა რასელ კროუმ კანში ფესტივალზე აჩვენა ფილმი „რობინ ჰუდი“, სადაც ის მთავარ როლს თამაშობს. კანის ფესტივალიდან ის ოჯახით რომში გაემგზავრა, სადაც მას დახვდა „რომას“ ფეხბურთელი ფრანჩესკო ტოტი თავისი მეუღლით — ილარი ბლაზით და ბავშვებით.**

ტოტების წყვილმა სტუმრები კოლიზიუმში წაიყვანა, რომლის შესახებ რასელს უნდა სცოდნოდა ფილმ „გლადიატორში“ გადაღების შემდეგ. ვიზიტის დროს ტოტიმ და კროუმ საჩუქრები გაცვალეს სახელდებული ფეხბურთის მაისურების სახით. იმპროვიზირებულ კონცერტზე კროუმ უამრავი ხალხის წინ შეასრულა საინტერესო კომპოზიცია.

## ჯოანა კრუპამ გადაწყვიტა

**მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე მომხიბვლელმა ქალმა ჯოანა კრუპამ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ დაამტკიცოს თავისი უპირატესობა კონკურენტებზე. პოლონური წარმოშობის ამერიკელი მოდელი გადაიღეს საბანაო კოსტიუმების რეკლამაში, სადაც მთელი სიმშვენიერით გამოაჩინა თავისი იდეალური ფიგურა. შევნიშნავთ, რომ მიმზიდველ არსებას არც თუ დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა ეროვნული ფეხბურთის ლიგის მოთამაშე ტერელ იუენსთან. თებერვალში კი ჯოანა გახდა პოკერის ტურნირის წამყვანი ჩრდილო ამერიკაში.**



ლამაზმანი დაიბადა ვარშავაში. კარიერა დაიწყო როგორც ფოტომოდელმა. ის მრავალი ჟურნალის ყდის დამამშვენებელი იყო და არის. მკითხველების გამოკითხვისას ის შეიყვანეს ას ყველაზე სექსუალური ქალის სიაში.

## სანთელი

# მამია ახობაძე

საქართველოს მხატვართა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი შესანიშნავი შემოქმედი, მოქალაქე, ცნობილი ფერმწერი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, პროფესორი მამია ახობაძე.

ბატონი მამია დაიბადა 1933 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ მიწაბოგირაში. სრულიად პატარამ თავისით გაიკვალა შემოქმედებითი ცხოვრების გზა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1949 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის წარმატებით



დამთავრების შემდეგ, 1955 წლიდან, იგი ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული და დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ასახავდა თავის ნამუშევრებში ყოველი მათგანის დამახასიათებელ ბუნებას, ადამიანთა პორტრეტებს, ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ძეგლებს. სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებზე თბილისში, ქუთაისში, მოსკოვში, პოლონეთში, უნგრეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ჩილეში, იაპონიაში.

აღსანიშნავია მხატვრის ნაწარმოებები თემათა სიმრავლით, ფერთა სიუხვით, შესრულების მანერითა და მაღალი ხარისხით: „შორეული ნაოსნობის წინ“, „ომის ტრაგედია“, „წუთიერი დუმილი“, „ციტრუსების პლანტაცია“ „სამამულე რქა“, „სიმღერა საქართველოზე“, „ქალი-ლეგენდა“, „შემოდგომა იმერეთში“, „ქუთაისი“ და მრავალი სხვა.

2008 წელს თბილისში, გალერეა „ვერნისაჟში“ ორგანიზებულ იქნა ბ-ნი მამიას სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მადლიერმა მოწაფემ თავის აღმზრდელ პედაგოგებს – ტ. ბარდაძეს, ნ. თაბუკაშვილს, ვ. შერპილოვს, ა. კიკნაძეს, გ. ჯაშს, ა. ქუთათელაძეს, ს. ქობულაძესა და ვ. შუხაევს მიუძღვნა.

ბატონი მამიას მაღალი ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებები დაცულია როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის მთელ რიგ მუზეუმებში და კერძო კოლექციებში: ინგლისის სამეფო აკადემიის, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის თბილისისა და ქუთაისის სახვითი ხელოვნების მუზეუმებში.

ბატონი მამია მონაწილე იყო ამიერკავკასიის მხატვართა 1986 წლის ბიენალესა და ქუთაისის 1995 წლის საერთაშორისო პლენერისა.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ბ-ნი მამია ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას 1960 წლიდან იყო გორის სამხატვრო სკოლის, 1989-95 წ.წ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, 1968 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და თეორიის განყოფილების, 1959-62 წლებში პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის, 1990 წლიდან „მცირე აკადემიის“ პედაგოგი. მხატვრის მიერ აღზრდილია არაერთი თაობა ქართველი მხატვრებისა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს ქვეყანას.

ბატონი მამია წლების მანძილზე აგროვებდა ცნობებს გარდაცვლილ მხატვრებზე გ. ზაზიაშვილიდან დაწყებული დღემდე, თუ სად ვინ იყო დაკრძალული, რომელიც ცნობარის სახით უნდა გამოეცა.

იგი ეწეოდა ინტენსიურ საზოგადოებრივ საქმიანობას: 1968 წლიდან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა შემოქმედებითი გაერთიანების თავმჯდომარე, 1983 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივნად.

წავიდა ჩვენგან უაღრესად განათლებული, თავისი ქვეყნის სიყვარულით გულანთებული, უკეთილშობილესი, ყველას მოყვარული და პატივისმცემელი ადამიანი, რომელსაც დარჩა დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა და ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსთა კრებული, რომლის დაბეჭდვასაც აპირებდა თავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, იგი დაიბადა 23 მაისს...

საქართველოს მხატვართა კავშირი

# ლუკა ხუნდაძე



ბედნიერი კაცი იყო ლუკა ხუნდაძე – დიდებული ოჯახის წინამძღოლი, საოცრად თბილი და მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს! მტრისას მისი გამოცანა!“ – როგორც იტყოდა აკაკი.

ჯერ იყო და, ავადმყოფობამ დააძაბუნა; მერე მზრუნველი მეუღლე – ქალბატონი იზა გამოეცალა ხელიდან; ბოლოს კი უფრო დიდი მეხთატეხა დაატყდა – ორმოცდაათს მიუღწეველი საამაყო შვილი – მამუკა დაუჯაბნა გულმა სხვათა გულთა მკურნალს... მას შემდეგ სიკვდილს ნატრობდა ლუკა ნიადაგ. და აი, კვლავ ბედნიერია ლუკა – სამუდამოდ უნდა გადასახლდეს მოუსავლეთში, მაგრამ იზასა და მამუკასთან ჩასახუტებლად...

ლუკა ხუნდაძე დაიბადა 1928 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში. სწავლობდა თბილისის მე-14 და 30-ე საშუალო სკოლებში. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

მას შემდეგ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა თბილისის გამომცემლობებში მოღვაწეობას: იყო გამომცემლობა „საქართველოს“ რედაქტორი, განყოფილების გამგე, მთავარი რედაქტორის მოადგილე, დირექტორის მოადგილე, შემდეგ კი გამომცემლობების – „მერანისა“ და „განათლების“ დირექტორი.

ეწეოდა ჟურნალისტურ და მთარგმნელობით მუშაობას. მისი თარგმანით გამოვიდა ა. დავის, გ. ჟუკოვის, რ. სეტის, ს. შტემენკოს წიგნები. ავტორთა კოლექტივის „ფილოსოფიის დაწყებითი კურსი“ და „საზოგადოებათმცოდნეობის ქრესტომათია“.

ლუკა ხუნდაძეს არ უყვარდა საკუთარი ღვაწლის საქვეყნოდ წარმოჩენა, მუდამ გაურბოდა ჟურნალისტებს თავმდაბლობის გამო. შრომა დაუფასდა. იყო რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერი. მინიჭებული ჰქონდა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება...

და აი, დადგა მწიერი დღე უკანასკნელი მისი ჩვენთან ყოფნისა. მიდის ჩვენგან შრომით დაღლილი და ტკივილებით გათანგული პიროვნება, მეგობარი და თანამოაზრე. მიდის უკეთეს ქვეყანაში, სადაც ბინადრობენ მისი სანატრელი წინაპრებისა და საყვარელ ადამიანთა სულები.

გემშვიდობებით, ლუკა! მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური თბილისის მიწა – შენი დროულად და უდროოდ წასული ახლობლებისა და მეგობრების მარადიული სავანე.

მეგობრები

# ალექსანდრე ლომიძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს პროფკავშირების ღვაწლმოსილი მუშაკი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ლომიძე.

ალექსანდრე ლომიძე დაიბადა 1929 წელს ქ. ჭიათურაში. შრომითი საქმიანობა 16 წლის ასაკში დაიწყო. 1948 წლიდან სწავლა განაგრძო ქ. თბილისის შრომითი რეზერვების ინდუსტრიალურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობას იწყებს გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში ჯერ მუშად, შემდეგ ბრიგადირად, ოსტატად, ლაბორატორიის უფროსად და საავიაციო ქარხნის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1970-74 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის 26 კომისრების რაიონის ალმასკომის პირველ მოადგილედ, ხოლო 1974 წლიდან ის კვლავ უბრუნდება საავიაციო ქარხანას, სადაც მას ირჩევენ გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარედ.



1980 წელს ალექსანდრე ლომიძეს ირჩევენ საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ. 1982 წლიდან ის ხილბოსტნეულისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეა.

1984 წელს ბატონი ალექსანდრე აირჩიეს საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1990 წელს კი თავმჯდომარედ. 2008 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა ამავე საბჭოში თავმჯდომარის მრჩევლად.

ალექსანდრე ლომიძეს დამთავრებული აქვს პროფმოძრაობის უმაღლესი საკავშირო სკოლა, იყო საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მე-17 ყრილობისა და სხვადასხვა დარგობრივი ყრილობების დელეგატი, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი. წლების განმავლობაში იყო რაიონული საბჭოს დეპუტატი.

ბატონი ალექსანდრე გამოირჩეოდა საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომით, დაჯილდოებული იყო პასუხისმგებლობის მოჭარბებული გრძნობით, იყო უაღრესად თბილი და უშუალო ადამიანი, ამიტომ დიდი პატივისცემით სარგებლობდა ყველა იმ კოლექტივში, სადაც კი მას უმუშავნია.

ბატონი ალექსანდრეს ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში. დაე მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

ბატონი ალექსანდრე ლომიძის გარდაცვალების გამო გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.

საქართველოს პროფგაერთიანება; საქართველოს ნავთობის, გაზისა და ნახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი.

---

ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ჩემი მეგობარი

მუხრან მაჭავარიანი

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ედუარდ შევარდნაძე
18/05/2010 წ.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი

მუხრან მაჭავარიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ედუარდ შევარდნაძე სამძიმარს უცხადებს ქართული კულტურის დიდ მოამაგეს რეზო ჩხეიძეს მეუღლის, ქალბატონი

რუსუდანის

გარდაცვალების გამო.

ედუარდ შევარდნაძე
17/05/2010 წ.

---

კირა მიქელაძე და მერაბ ბერძენიშვილი გულითად თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ რეზო ჩხეიძეს მეუღლის, ქალბატონ

რუსუდან ფარემუზაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ლორიკ მარშანიას ოჯახი იუწყება მეუღლის, დედის და ბებიის

მერი სიმონის ასულ გუგუშვილი-მარშანიას

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 20, 21 V, 17 სთ. მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 75, ბ. 4. გამოსვენება 22 V, 15 სთ. წმინდა სამების ეკლესიიდან (ჭავჭავაძის გამზირი, ვაკე).

---

ზურაბ ერქვანია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონ ლორიკ მარშანიას მეუღლე, ღვაწლმოსილი და სიკეთით სავსე ქალბატონი

მერი გუგუშვილი-მარშანიასი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---



რევაზ ჩაგელიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გიორგი რეხვიაშვილს მეუღლის

მედიკო სულთანის ასულ გავაშელიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ირაკლი, თეიმურაზი და მარინა ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული მხატვრის

მამია ახობაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება კონფედერაცია „ენერგიის“ თავმჯდომარის

ალექსანდრე ლომიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მონატრება

# დათო ჩინჩალაძე



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, შვილო დათო. ვიცით, რომ აღარ შემოაღებ ჩვენს კარებს, მაგრამ მაინც სულ გელოდებით. შენ ხომ ყოველთვის მოულოდნელი სტუმრობა გიყვარდა. ყველაფერში განსაკუთრებული და გამორჩეული იყავი, ჩვენო ახოვანო და ლამაზო, ჭკვიანო, უკეთილშობილესო და კეთილო დათო. 7 აპრილს, ხარებას გახდა 1 წელი, რაც ჩვენგან წახვედი, შინ მოუსვლელად, პირდაპირ ეკლესიიდან. შარშანდელი აღდგომაც უშენოდ გავითენეთ. ძალიან ძნელია უშენობა, დათო, ძალიან გვიჭირს ამასთან შეგუება, ან კი ოდესმე შევეგუებით? თუმცა ყველაფერი ღვთის ნებაა, ნათელში იყოს შენი სული, შვილო დათო.

შენი მამიდა იზო, ბიძა ჯონი,
მამიდაშვილები თამარი და ნინო
30.04.2010 წ.

## განცხადება

2010 წლის 8 ივნისს დღის 12 საათზე გარდაბნის რაიონის სოფ. ალთაღლაში მოწვეულია სააქციო საზოგადოება „სოფლმომარაგების“ აქციონერთა საერთო კრება.

სს „სოფლმომარაგების“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2010 წლის 19 მაისი.

**დღის წესრიგი:**

1. გასული 2009 წლის სამეურნეო ანგარიში (მომხსენებელი დირ. მ. ხაჭვანიძ.

აქციონერებს კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სს სოფლმომარაგების“ აქციონერთა რეესტრის მწარმოებელთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“. მისამართი: ჯავახიშვილის გამზირი №55. ტელ. 23-03-84.

დირექტორი მ. ხაჭვანი

## დაიჯესტი

### უფრო მეტს, თანაც უფასოდ ნახავენ

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ 2015 წლისთვის ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს გამოსახულების გაუმჯობესებული ხარისხის 24 ტელეარხის ცქერის საშუალება უნდა ჰქონდეს. ვარაუდობენ, რომ ეს არხები უფასო იქნება.**

### აბა, ვნახოთ, როგორი გოგო-ბიჭები ხართ...



**ადამიანის პიროვნული თვისებების დადგენა მისი გარეგნობით, ტანსაცმლითა და სახის გამომეტყველებით შეიძლება, განაცხადეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა.** აღმოჩნდა, რომ გარეგნობაზე დაკვირვება სავსებით საკმარისია პიროვნების ათი საკვანძო თვისების გასარკვევად, მათ შორის ისეთების, როგორიცაა გულღიობა, კეთილსინდისიერება, ექსტრავერტულობა, დამყოლობა, ნევროზულობა, მიმზიდველობა, საკუთარი თავის პატივისცემა, სიმარტოვის ხარისხი, რელიგიურობა და პოლიტიკური ორიენტაციაც კი. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ამ თვისებებზე დაყრდნობით ანალიზი გაცილებით ზუსტია მაშინ, როცა ნაცნობობა შემთხვევით ხდება და პიროვნება მისთვის ბუნებრივ პოზასა და სახის ჩვეული გამომეტყველებით არის.

### ვინ ყრის ცოფებს?



**ცნობილი რუსი მომღერლის ლუდმილა ზიკინას გარდაცვალებას შარშან დიდი სკანდალი მოყვა, რომელიც მისი კუთვნილი ბრილიანტების იდუმალ გაქრობას უკავშირდება, რომელთა ღირებულება, ექსპერტთა აზრით, რამდენიმე მილიარდი დოლარია! რა იქნა ეს უზარმაზარი ქონება? ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, თუმცა აღნიშნავენ ერთ უცნაურობას: მომღერლის დეიდაშვილმა, ქალბატონმა ვორობიოვამ ჟურნალისტებს უამბო, რომ მანამდე მისი ვაჟიშვილი სხვა მომსახურეების მსგავსად ყოველ დღე სამსახურში დადიოდა, ახლა კი სახლიდან ფეხს არ ადგამს...** მაშასადამე, შემოსავლის წყარო გაუჩნდა? ხომ არ გაიყვეს უჩუმრად ზიკინას მემკვიდრეობა მისმა ზოგიერთმა ნათესავმა და ყოფილმა თანაშემწემ სავინკოვამ? თუმცა, ეს უკანასკნელი ენას კბილს აჭერს და ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს გამეტებით უტევს, როცა ისინი ბრილიანტების ბედით ინტერესდებიან, როგორც ეს „ენტევეს" ტელეარხის ერთ-ერთი გადაცემის ჩაწერისას მოხდა, როცა ამასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე სავინკოვას, რომ იტყვიან, პირკატა ეცა.

როგორც ამბობენ, ცოფებს ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივ ის „ყრის", ვისაც რაღაც-რაღაცეების გამზეურება არ სურს.

### ხიზილალა ექახეთ თქვენ და...

**წითელი ხიზილალა სისხლში ქოლესტერინის შემცველობას აქვეითებს და სიბერისგან გვიცავს, დარწმუნებულნი არიან ალმერიის (ესპანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერები.** მათ 15 სახეობის თევზის ხიზილალის ქიმიური შემადგენლობა შეისწავლეს და მეტად სასარგებლო ცხიმის მჟავების ყველაზე მაღალი კონცენტრაცია აღმოაჩინეს **ჰეკის, პინაგორისა და ორაგულის ხიზილალაში.** სწავლულთა აზრით, ხიზილალას რეკომენდაცია შეიძლება გაუწიონ როგორც ქოლესტერინის შემცველობის დამწევ პროდუქტს, რომელსაც გარდა ამისა, ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს.



## დღის კალენდარი

### 19 მაისი

**ღირსისა მამისა ჩვენისა დოდო გარეჯელისა (596წ (გარდამავალია, მოიხსენიება ამაღლების შემდგომ ოთხშაბათსა); მართლისა იობ მრავალვნებულისა (დაახლ. 2000-1500 წწ. ქრისტეს შობამდე); მოწამეთა: ბარბარ მხედრისა, ბაქოსი, კალიმაქესი და დიონისესი (დაახლ. 362წ; მოწამისა ბარბარა ვაზაკყოფილისა.**



ამოდის 04.36
ჩადის 19.17



ამოდის 00.29
ჩადის 10.06

### დაიბადნენ:

**1593 – იაკობ იორდანსი,** ფლამანდიელი მხატვარი. გარდაიცვალა 1678 წელს.

**1939 – კონსტანტინე ვარდელი,** მუსიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

**1825 – კლოდ ანრი დე სენ-სიმონი,** ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი.

**1864 – ნათანიელ ჰოტორნი,** ამერიკელი მწერალი.

**1912 – ბოლესლავ პრუსი,** პოლონელი მწერალი.

**1935 – ტომას ედვარდ ლოურენსი,** ინგლისელი მწერალი, მეცნიერი-კლასიკოსი, არქეოლოგი.

### მოვლენები:

**1712** – პეტრე I-მა დედაქალაქი მოსკოვიდან სანკტ-პეტერბურგში გადაიტანა.

**1802** – ნაპოლეონის ინიციატივით დაწესდა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო – საპატიო ლეგიონის ორდენი.

**1923** – სიკვდილით განაჩენი გამოუტანეს ანტიბოლშევიკური შეთქმულების მონაწილეებს, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, გენერალ კოტე აფხაზს.

**1947** – ამოქმედდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

**1977** – აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების შესახებ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**თურქეთი** – ახალგაზრდობისა და სპორტის დღე.
**ფინეთი** – ხსოვნის დღე.
**უკრაინა** – მეცნიერების დღე.
**ვიეტნამი** – ხო ში მინის დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +26 |
| ქუთაისი. | +18 – +29 |
| ბათუმი. | +14 – +24 |
| ზუგდიდი. | +16 – +26 |
| თელავი. | +14 – +24 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2461 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6357 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9743 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2199 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2507 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1742 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6127 ლარი |



## განცხადება

ვისაც კომფორტულ აგარაკზე ცხოვრება გიყვართ, დარეკეთ 899 16 93 57. აგარაკი სოფელ ტაბახმელაშია, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ნახვა. ფასი შეთანხმებით.

## ანეკდოტები

– რაო, მიხო, რა გითხრა გრაფოლოგმა შენი ხელწერის შემოწმების შემდეგ?

– მითხრა, ძალიან ბრაზიანი და აგრესიული ხარო.

– მერე რა ქენი?

– რა და, კარგად მოვცხე ყბაში ტყუილისთვის.



* * *

– შვილო, – საყვედურობს მამა ქალიშვილს, – რამდენი ხანია, გეძახი, მაგრამ ყურსაც არ აბარტყუნებ! რა გამოვა შენგან?

– ოფიციანტი, მამი.

* * *

ქალებს არ სურთ, რომ გაიგონონ ის, რასაც თქვენ ფიქრობთ. მათ სურთ, გაიგონონ ის, რასაც თავად ფიქრობენ, მაგრამ სასიამოვნო ბარიტონით წარმოთქმული.

* * *

პატიმრის წერილიდან: ვმუშაობდი ბიძაჩემისთვის. მერე დავიწყე ჩემი თავისთვის მუშაობა. ბიძაჩემმა გაიგო. ახლა სახელმწიფოსთვის ვმუშაობ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.